პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
24 ივნისი
1940 წ.
№ 144 (5845)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დედაქალაქის შემდგომი აყვავებისათვის

საქართველოს — დიდი სტალინის სამშობლოს დედაქალაქი თბილისი თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გაუგონარსა და უნახავ აყვავებას განიცდის. გადახედეთ თბილისს, დაათვალიერეთ ბაღნარად ქცეული მისი უბნები, გალამაზებული მისი მოედნები, კეთილმოწყობილი ფართო ქუჩები, წალკოტისებრი სანაპიროები, დაათვალიერეთ ჩვენი დედაქალაქი და წარმოდგენა გექნებათ მთელი საქართველოს აღორძინების დღევანდელ სურათზე.

თბილისის აღორძინების, მისი აყვავების მთელი ისტორია დაკავშირებულია ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** უერთგულესი მოწაფისა და თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სამაყო შვილის და მოამაგის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** სახელთან. 1933 წლის 22 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებულ პლენუმზე წარმოთქმულ შესანიშნავ სიტყვაში ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ** მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა თბილისის საქალაქო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხი. ამხანაგმა **ლ. ბერიამ** მაშინ დაგვისახა თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის გრანდიოზული გეგმა, რომლის შესრულება დიდ შრომასა და მრავალ დაბრკოლებათა გადალახვას მოითხოვდა. ამ მართლაც გიგანტური შრომის შედეგს, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბოლშევიკური მზრუნველობის ნაყოფს, ახლა ყველა თვალნათლივ ხედავს.

თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის უკვე შესრულებული გიგანტური შრომის შედეგებზე, ჩვენს დიდ გამარჯვებებზე, თბილისის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფაქტებზე და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა ზრდაზე მოუთხრობდნენ დეპუტატები მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ახლახან დამთავრებულ მეორე სესიას.

აღნიშნულ სესიაზე თბილისის მშრომელთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა განიხილეს და დაამტკიცეს 1940 წლის თბილისის საქალაქო ბიუჯეტი. თბილისის წლევანდელი ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში დამტკიცებულია 168.711.000 მანეთის რაოდენობით. ეს ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიული XVIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად და სავსებით გამომდინარეობს მესამე სტალინური ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის მონაცემებიდან, წარმოადგენს თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი აყვავების კონკრეტულ საბრძოლო პროგრამას.

წელს თბილისის მშრომელებს უნდა გადაეცეს 7.932 კვადრატული მეტრი ახლად აგებული საცხოვრებელი ფართობი, უნდა აშენდეს სამი ახალი სასკოლო შენობა, დამთავრდეს ტუბერკულოზური საავადმყოფო და აბანო-სამრეცხაოს კომბინატის მშენებლობა სტალინის რაიონში, გაყვანილ იქნას წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი 21 კილომეტრზე, ტრამვაის ახალი ხაზი 4,6 კილომეტრზე, ტროლეიბუსის ხაზი 4 კილომეტრზე, აღდგენილ იქნას ავჭალის ძველი წყალსადენი, რომელიც განტვირთავს თბილისის წყალსადენს და თბილისის მრეწველობას უზრუნველჰყოფს მტკვრის წყლით... დასახულია დიდი პროგრამა, გამოყოფილია დიდი თანხები.

ახლა მთავარი ის არის, რომ ვიმუშაოთ კიდევ უფრო უკეთესად, ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი **ლ. ბერია:**

„მუშაობა თბილისში უნდა მოწესრიგდეს იმგვარად, რომ თბილისი გახდეს საბჭოთა საქართველოს— დიდი სტალინის სამშობლოს ღირსეული დედაქალაქი".

მიმდინარე წლის ბიუჯეტი მრავალ ამოცანას გვისახავს. გასაკეთებელი მრავალი რამ გვაქვს. ქალაქის არქიტექტურული გაფორმება, მთლიანი მხატვრული ანსამბლების შექმნა, განსაკუთრებით ახალი ქუჩების გაყვანისას და ძველი ქუჩების რეკონსტრუქციისას, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის უკეთესად მოწესრიგება, რევოლუციური წესრიგის დაცვა ქუჩებში მოძრაობისას, საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის შეუნელებელი ბრძოლა, ქალაქის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და მრავალი სხვა გადაუდებელი ამოცანა დგას წელს ჩვენს წინაშე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და სარაიონო საბჭოების, თვითეული დეპუტატის წინაშე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება იმის საწინდარია, რომ თბილისის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები წარმატებით შეასრულებენ ჩვენი დედაქალაქის აყვავების ახალ პროგრამას.

ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა

ხვალ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში — თბილისში—იწყება სრულიად - საქართველოს ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან დაიძრებიან სტალინური ეპოქის ბედნიერი თაობის ნორჩი შემოქმედნი, რომლებიც თან მოიტანენ საამური და სასიხარულო ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული შემოქმედებითი მუშაობის გზნებასა და ხალისს.

ოლიმპიადის 1500-მდე მონაწილე გადაგვიშლის თვალწინ თავიანთ შესანიშნავ მიღწევებს მწერლობის, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებში. ისინი გვიჩვენებენ თავის აღმაფრენასა და ნიჭს სახვით ხელოვნებასა და ტექნიკაში. საამისოდ ეწყობა ორი სპეციალური გამოფენა. საბჭოთა საქართველოს ბედნიერი ბავშვები გვიჩვენებენ თავისი გულმოდგინე და შთაგონებული შრომის შედეგებს, აღსავსეს მეტად საინტერესო მხატვრული ძიებებით.

ეს ოლიმპიადა იქნება ნამდვილი დემონსტრაცია იმ მზრუნველობისა, რომელსაც ლენინ-სტალინის დიადი პარტია და პირადად ხალხთა გენიალური ბელადი დიდი **სტალინი** იჩენენ ნორჩი თაობის მიმართ. ამ მხრივ ოლიმპიადის მნიშვნელობა დიდი და განუზომელია.

არსად მსოფლიოში ბავშვთა თვითმოქმედება ისე მრავალფეროვანი არ არის, როგორც ჩვენში. ეს გასაგებია, რადგან მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი საბჭოთა ბავშვებია. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი თავისი ნიჭის გასაშლელად, პირად მისწრაფებათა და მიდრეკილებათა გამოსავლენად. ამიტომ არის, რომ საბჭოთა საქართველოს მრავალმა ათასეულმა ბავშვმა შესძლო პირადი შემოქმედების შეხამება წარჩინებულ სწავლასთან.

ბავშვთა შემოქმედების სრულიად-საქართველოს ოლიმპიადას წინ უსწრებდა საქალაქო, რაიონული და სასოფლო ოლიმპიადები და ბავშვთა თვითმოქმედების დათვალიერება, რომლებშიაც 20 ათასამდე ბავშვი იღებდა მონაწილეობას. მათ გამოავლინეს მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო ნიმუშები როგორც ხელოვნების, ისე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში. ის, რაც ამ ოლიმპიადებზე გვიჩვენეს ბავშვებმა, გულწრფელად ახარებს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს.

მართლაც, რა მრავალფეროვანია საბჭოთა ბავშვის ნიჭი! ჩვენს თვალწინ თბილისის საქალაქო ოლიმპიადაზე გაიარეს ნორჩმა მოცეკვავეებმა, მეჩონგურეებმა, მომღერლებმა, დამკვრელებმა, მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა თაყვანისმცემლებმა, დეკლამატორებმა. თბილისელი მოსწავლის ლამარა ჩოჩიას ცეკვაში ადვილად შეამჩნევდით პლასტიკური ხელოვნების მომავალ ოსტატს. მარინა იაშვილმა, მარი ოქროპირიძემ და სხვებმა გვიჩვენეს ვიოლინოზე დაკვრის თავისი ასაკისათვის განსაცვიფრებელი მიღწევები. მოლექსეებმა ლენა საყვარელიძემ და რეზო თაბუკაშვილმა გამოავლინეს ფაქიზი პოეტური გემოვნება და მხატვრული სიტყვის ალღო. ჩვენ არას ვამბობთ ასეულ სხვა ბავშვებზე, რომლებმაც თავისი შემოქმედებით მოაჯადოვეს ჩვენი პერიფერიის მშრომელები.

ყოველივე ეს მოწმობდა იმას, თუ რა საუცხოო ყვავილები იშლებიან იმ დიდებულ ბაღნარში, რომელსაც მამობრივი მზრუნველობით თავს ევლებიან პარტია და ხელისუფლება, პირადად დიდი **სტალინი.**

ოლიმპიადის ყველა მონაწილის ქმნილება, მხატვარი იყო ის თუ მოდელისტი, მოლექსე თუ მემუსიკე, მომღერალი თუ მოცეკვავე, გამსჭვალული იყო **ლენინ-სტალინის** პარტიისა, სამშობლოს, ხალხთა დიდი ბელადის **სტალინისა** და ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის **ლავრენტი ბერიას** მიმართ სიყვარულითა და ღრმა მადლობის გრძნობით. მთელმა რიგმა სკოლებმა, კომკავშირულმა და პიონერთა ორგანიზაციებმა დაამტკიცეს, რომ ნორჩი თაობის აღზრდის საქმე საიმედო ხელმძღვანელთა ხელშია.

სწორედ ამის შედეგია, რომ სრულიად-საქართველოს ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება წელს ჩვენში, 1500-მდე ბავშვმა მიიღო, მათ შორის 140-მა მზიური აფხაზეთიდან და აჭარიდან.

სრულიად - საქართველოს ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა ცხადჰყოფს ქართული, — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური,—კულტურის შესანიშნავ წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში. საუკეთესონი საუკეთესოთა შორის მონაწილეობას მიიღებენ იმ ოლიმპიადაში, რომელიც აგვისტოში გაიმართება სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. სრულიად-საქართველოს ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის თვითეული მონაწილე იბრძოლებს იმისათვის, რომ მოიპოვოს ამ ჭეშმარიტად დიდ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის უფლება, რათა თავისი ნიჭისა და შრომის ნაყოფი უჩვენოს მოსკოვის მშრომელებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ხალხთა დიდ ბელადს, ბრძენ მამასა და მასწავლებელს **სტალინს.**

მხურვალე სალამი ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ახალგაზრდებს — სრულიად-საქართველოს ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის მონაწილეთ!

ლიტველი მწერლების საჩუქარი

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა ლიტველ მწერლებისაგან საჩუქრად მიიღო წიგნების კოლექცია. კლასიკოსებთან ერთად წარმოდგენილია 14 თანამედროვე ლიტველი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი. მათ შორის არიან ლიტვური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელნი—ვ. კრევე-მიცკევიჩიუსი, ანტანას ვენცლოვა, პეტრას ცვირკა და სხვ. ამ კოლექციიდან ზოგიერთ წიგნს, მათ შორის ანტანას ვენცლოვას მოთხრობათა კრებულ „ღამეს" მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია.

წიგნების უმეტესობა საუცხოვოდ გამოცემულია ლიტვის უდიდესი გამომცემლობის „სპაუდოს ფონდასის" მიერ. წიგნების ნაწილი გამოცემულია წელს. საგრძნობ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა მწერლებისათვის საჩუქრად გამოგზავნილი ლიტვურ სიმღერათა კრებული. (საკდესი).

იურიდიული დახმარება საქართველოს მშრომელებს

მოსკოვი, 21 ივნისი (საკდესი). სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში სპეციალურად მოწვეულ თათბირზე აღნიშნულ იქნა, რომ საქართველოს მშრომელებისადმი იურიდიული დახმარება საგრძნობლად დაუახლოვდა მოსახლეობას. ყველა რაიონი უზრუნველყოფილია კვალიფიციურ ადვოკატთა საკმაო რაოდენობით. რესპუბლიკაში ადვოკატთა 70 პროცენტს უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს მიღებული. ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

ამასთან ერთად თათბირზე აღნიშნულ იქნა მთელი რიგი დიდი ნაკლოვანებანი ადვოკატურის მუშაობაში. საქართველოს ადვოკატთა კოლეგიამ ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნა მუშაობა ახალი დებულების მიხედვით. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადვოკატურის განყოფილება არ ებრძვის ისეთ შეუწყნარებელ მოვლენებს, როგორიც არის ადვოკატების მიერ კლიენტების შინ მიღება. საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატი არა ზრუნავს იურიდიული კონსულტაციებისათვის საჭირო შენობებზე.

თათბირზე მოყვანილ იქნა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ადვოკატთა მუშაობას ცუდად ხელმძღვანელობენ.

რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმთა თავმჯდომარეებს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადვოკატურის განყოფილებათა წარმომადგენლებს, რომლებიც თათბირს დაესწრნენ, კონკრეტული მითითებანი მიეცათ — გადაჭრით და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი.

მიტინგი რკინიგზის თბილისის კვანძზე

თბილისის რკინიგზელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ იმ ამბავს, რომ ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის კოლექტივი და გზის მოწინავე საწარმოები გარდამავალი წითელი დროშით არიან დაჯილდოებულნი. საწარმოებში მიტინგები გაიმართა. დიდი მიტინგი გაიმართა თბილისის საელექტრომავლო დეპოში. მიტინგზე გამოვიდნენ სტახანოველები და კრივონოსელები, რომლებმაც კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს. ოსტატმა ამხ. ბაკუაშვილმა ვალდებულება იკისრა ვადამდე ააწყოს გამოსაცდელი სტენდის ელექტრომანქანის მოწყობილობა ელექტრომავალთა მოტორგენერატორების გამოსაცდელად. ელექტრომავლის მემანქანემ ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც მოხარატების შემდეგ 100.000 კილომეტრი გაირბინა ელექტრომავლით, ვალდებულება იკისრა 150.000 კილომეტრამდე აიყვანოს გარბენა ახალ მოხარატებამდე. საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს მემანქანეებმა მუქერიამ, ბითაძემ და სხვ.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხაშურის ბერიას სახელობის საელექტრომავლო დეპოს კოლექტივს, რომელმაც გარდამავალი დროშა მოიპოვა. მიტინგის მონაწილეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ხაშურის ლ. პ. ბერიას სახელობის საელექტრომავლო დეპო და იაროსლავლის რკინიგზის მოსკოვი III-ის ელექტროდეპო.

თბილისის საელექტრომავლო დეპომ ვალდებულება იკისრა 25 ივლისისათვის ვადამდე შეასრულოს დავალება საწარმოო რემონტის ხაზით და გეგმის გადამეტებით მოახარატოს ერთი ელექტრომავალი.

მიტინგზე რკინიგზის თბილისის კვანძის საორთქლმავლო დეპოს, სავაგონო დეპოს, დისტანციების, სადგურების და სხვა საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა მთელი რიგი ვალდებულებანი იკისრეს, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს გზის მუშაობა.

მიტინგებს 8 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. (საქდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ბელორუსიის სს რესპუბლიკის ხელოვნების განვითარების ღონისძიებანი

ბელორუსიის სს რესპუბლიკის ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს, რომ 1941-42 წლებში აგებულ იქნას ქ. მინსკში საცხოვრებელი სახლი მსახიობებისათვის, 2,5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

2. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს მოახდინოს 1940 წელს ქ. მინსკში ბელორუსიის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობის რეკონსტრუქცია, 800 ათას მანეთის ღირებულებისა.

3. დამტკიცდეს, რომ 1940-42 წლებში აგებულ იქნას ქ. გომელში 800-ადგილიანი თეატრის შენობა, 5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

4. დამტკიცდეს, რომ 1941-42 წლებში აგებულ იქნას ქ. მინსკში სახელოსნოთა შენობა მხატვრებისა და მოქანდაკეებისათვის, 2 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

5. მიეცეს 1940 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს კაპიტალური მშენებლობისათვის ბელორუსიის სს რესპუბლიკაში დამატებით 3 მილიონი მანეთი, აქედან 1 მილიონი მანეთი—ქ. მინსკში ბელორუსიის სს რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის მოსაწყობად.

6. გადაცემულ იქნას ბელორუსიის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის წითელი არმიის სახლის სათეატრო შენობა ქ. მინსკში ბელორუსიის 1-ლი სახელმწიფო დრამატიული თეატრის საჭიროებისათვის.

ქ. მოსკოვში შემდგარი ბელორუსული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა და ორგანიზატორთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა დაჯილდოებულ იქნან ქ. მოსკოვში შემდგარი ბელორუსული ხელოვნების დეკადის მონაწილენი და ორგანიზატორნი ფულადი პრემიით—ერთი თვის ხელფასით.

ბავშვებს—დეკადის მონაწილეებს ეძლევათ დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურები. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ე. ო. პატონის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების 70 წლის იუბილესთან და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში დამსახურებასთან დაკავშირებით უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ევგენი ოსკარის-ძე პატონი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 22 ივნისი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ა. ე. კრიმსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფილოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის აკადემიკოსი აგათანგელ ექვთიმეს-ძე კრიმსკი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 22 ივნისი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. ა. ბოგომოლეცის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პათოლოგიური ფიზიოლოგიის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ბოგომოლეცი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 22 ივნისი.

ჩუვაშეთის 20 წლისთავის წინ

ჩებოკსარი, 22 ივნისი (საკდესი). 24 ივნისს ჩუვაშეთის მშრომელნი დღესასწაულობენ თავიანთი რესპუბლიკის 20 წლისთავს. რესპუბლიკის დედაქალაქმა — ჩებოკსარმა — სადღესასწაულო სახე მიიღო. ზეიმზე მოდიან სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან. მშრომელნი გულთბილად ხვდებიან ძვირფას სტუმრებს. დღეს ჩამოვიდნენ ბაშკირეთისა და უდმურტეთის წარმომადგენლები.

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს სახელზე ათობით შემოდის მილოცვის დეპეშები. 20 წლისთავის აღსანიშნავად 22 ივნისს იხსნება ჩუვაშეთის ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2 ათასზე მეტი კაცი.

ხვალ იხსნება ჩუვაშეთის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია.

სპეციალური თვითმფრინავი ბ-ნ ტოდორ ხრისტოვის ნეშტითურთ გაფრინდა სოფიას

23 ივნისს სოფიას გაფრინდა სპეციალური თვითმფრინავი, რომელსაც მიაქვს ნეშტი ბ-ნი ტოდორ ხრისტოვისა — ბულგარეთის საგანგებო დესპანის და სრულუფლებიანი მინისტრისა სსრ კავშირში.

განსვენებული ბ-ნ **ხრისტოვის** ნეშტის გასაცილებლად ცენტრალურ აეროპორტზე მივიდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ს. ა. ლოზოვსკი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივანი ამხ. **ა. ა. სობოლევი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი,** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. **ნ. ვ. ნოვიკოვი,** ქ. მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი **ვ. ა. რევიაკინი,** თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი **გ. ი. ოსეტროვი,** ბულგარეთის მისიის შემადგენლობა საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ ტილევის მეთაურობით, მოსკოვში მყოფი დიპლომატიური კორპუსი მამასახლისის, გერმანიის ელჩის გრაფ ფონ დერ შულენბურგის მეთაურობით.

ცენტრალური აეროპორტი მორთული იყო საბჭოთა და ბულგარეთის ბაირაღებით. იდგა საპატიო ყარაული. (საკდესი).

საკდესი უარყოფს

ამ უკანასკნელ დღეებში უცხოეთის პრესაში ავრცელებენ ხმებს, რომ თითქოს სსრ კავშირსა და თურქეთს შორის მოლაპარაკება სწარმოებდეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ახალი ხელშეკრულების დასადებად და რომ ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ თითქოს აპირებდეს მოსკოვში გამგზავრებას.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ხმები მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და თავიდან ბოლომდე ჭორს წარმოადგენს.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. ე. მოისეენკო** დანიშნა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ (მეცხოველეობის დარგში).

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. ი. კუზნეცოვი** შეიყვანა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ვ. ს. გერაშჩენკო** დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ა. პ. დენისოვი** შეიყვანა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის შემადგენლობაში და დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ (კადრების დარგში). (საკდესი).

ხვალ, 25 ივნისს, საღამოს 7 საათზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიხსნება

საქართველოს ბავშვთა შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა

ოლიმპიადა გაგრძელდება 26, 27 და 28 ივნისს.

ორგკომიტეტი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის და მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიძღვნილი აკაკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, გაიხსნა 23 ივნისს დილის 12 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივნის **ირ. აბაშიძის** შესავალი სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: აკად. **ი. ლუპოლი,** განათლების სახალხო კომისარი **გ. კიკნაძე, ირ. აბაშიძე, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, შ. რადიანი, გ. ტაბიძე, ს. ეული, ხ. პლიევი, დ. გულია, ჯ. ნოღაიდელი, ვ. კირპოტინი, ვ. გოლცევი, ს. სპასკი, რ. გრიგორიანი, ნაირი ზარიანი, დ. დემირჩიანი, მ. რაფილი, გაფურ-გულიამი, თ. ეპხიევი, ვ. ბაზანოვი, ი. ჯანაევი, მირვარი დილბაზი, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ლ. ასათიანი, პ. ინგოროყვა, გ. გიასელი.**

დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა **შ. რადიანის** მოხსენება „აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა" და **ა. მაშაშვილის** მოხსენება რუსულ ენაზე „აკაკი წერეთელი და ქართული საბჭოთა მწერლობა".

საღამოს სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: **პ. ინგოროყვა** — „აკაკი წერეთლის პოეზია" და რუსულ ენაზე **ლ. ასათიანი** — „აკაკი წერეთელი — მხატვრული სიტყვის ოსტატი".

ვრცელი სიტყვები აკაკის შესახებ წარმოსთქვეს კრიტიკოსმა **ვ. გოლცევმა** და აფხაზეთის მწერალმა **დ. გულიამ.**

პლენუმის სხდომებს ესწრებოდნენ იუბილეში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული სტუმრები, ქართველი მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკები, თბილისის საწარმოს მუშა-მოსამსახურენი.

დღეს დილის 11 საათზე პლენუმის მესამე სხდომა შესდგება მწერალთა კლუბში.

აკაკი წერეთლის ხსოვნისათვის

კიევი, 21 ივნისი (საკდესი). სოფელ შევჩენკოში — დიდი კობზარის სამშობლოში — გაიმართა აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მონაწილეობა მიიღეს უკრაინელმა მწერლებმა. წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების და ტ. გ. შევჩენკოსთან მისი მეგობრობის შესახებ მოხსენება გააკეთა პოეტმა ამხ. ფომინმა.

საღამოს დამსწრე კოლმეურნეებმა მისასალმებელი წერილით მიმართეს წერეთლის სამშობლო სოფელ სხვიტორის კოლმეურნეებს. ისინი სწერენ:

„შევიკრიბენით რა საზეიმო საღამოზე, რომელიც მიეძღვნა თქვენი თანამემამულისა და ჩვენი მეგობრის დიდი ქართველი პოეტის ა. წერეთლის დაბადების 100 წლისთავს, გულმხურვალე, ძმურ სალამს გიძღვნით თქვენ.

მეფის რუსეთში, ხალხთა საპატიმროში, ქართველი ხალხის მგოსანმა აკაკი წერეთელმა ძმური ხელი გაუწოდა ჩვენს თანამემამულეს — დიდ ტარასს. მათი ურთმანეთისადმი სიყვარული და მეგობრობა სიმბოლოა ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობისა და სიყვარულისა, ხალხების, რომელნიც დღითიდღე იფურჩქნებიან და მტკიცდებიან".

სხვებს შორის წერილს ხელს აწერენ დიდი კობზარის შვილიშვილები — ხ. შევჩენკო, ხ. შევჩენკო, ვ. შევჩენკო.

ერევანი, 21 ივნისი (საკდესი). გუშინ სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში შესდგა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა აკაკი წერეთლის ხსოვნას. საღამომ დიდძალი ხალხი მიიზიდა. მოხსენების შემდეგ ოპერისა და ფილარმონიის მსახიობთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

სახელგამმა საიუბილეო დღეებისათვის სომხურ ენაზე გამოუშვა წერეთლის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული. წიგნში შედის პოეტების ი. სააკიანის, ტერიანისა და სარიანის თარგმანები.

ფრუნზე, 21 ივნისი (საკდესი). ყირგიზულ ენაზე პირველად გადაითარგმნა აკაკი წერეთლის ლექსები. გამოდის სპეციალური ნომერი ჟურნალისა „საბჭოთა ლიტერატურა და ყირგიზეთის ხელოვნება", რომელიც მიეძღვნება დიდი ქართველი პოეტის ხსოვნას.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთსა და გერმანიას შორის დროებითი ზავის დადების გამო

ნიუ-იორკი, 23 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გერმანიის მიერ წამოყენებული დროებითი ზავის პირობები „მძიმეა, მაგრამ საპატიოა". ნახევრადოფიციალურ წრეებში აცხადებენ: გერმანიის პირობები საპატიო რომ არ ყოფილიყო, საფრანგეთი მზად იქნებოდა განეგრძო ბრძოლა თავისი კოლონიებიდანო.

საფრანგეთმა გერმანიის პირობების გამო „ზოგიერთი კონტრწინადადება" წამოაყენა.

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წრეებმა გაიგეს, გერმანიის მიერ წამოყენებული დროებითი ზავის პირობები, რომლებიც მიიღო საფრანგეთის მთავრობამ, შეიცავს შემდეგს პუნქტებს: 1) გერმანიის მიერ ლა-მანშისა და პა-დე-კალეს საფრანგეთის სანაპიროს და ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროს ოკუპაცია ომის დამთავრებამდე. ხმელთაშუა ზღვის საფრანგეთის სანაპიროს გადაცემის საკითხი ღიად არის დატოვებული და განხილული იქნება საფრანგეთის წარმომადგენლებს და იტალიის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების დროს. 2) საფრანგეთის ფლოტის ყველა სამხედრო გემი განიარაღებულ უნდა იქნას. 3) საფრანგეთის ერთი ნაწილი, მთელი მისი ფართობის მესამედზე ნაკლები, ცენტრით პარიზში, თავისუფალი უნდა იყოს გერმანიის ოკუპაციისაგან. 4) ზავის საბოლოო პირობების დადებამდე არავითარი ტერიტორიალური ცვლილება არ მოხდება.

საფრანგეთის ოფიციალური წრეების აზრით, საფრანგეთის წარმომადგენლები დღეს შეხვდებიან იტალიის წარმომადგენლებს. როგორც მოელიან, გერმანია გავლენას მოახდენს იტალიაზე იმ მხრივ, რომ იტალიამ უფრო ზომიერი მოთხოვნები წამოაყენოს.

ფრონტზე გერმანიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის ფაქტიურად სრული სიწყნარე დამყარდა.

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 23 ივნისი (საკდესი). როგორც ბიულეტენი „დინსტაუს დოიჩლანდი" იუწყება, 21 ივნისს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ძლიერ დაუშინა ყუმბარები კელნს. დანგრეულია მთელი რიგი შენობები. მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

გაზეთ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი" სწერს, რომ მაშინვე ბომბარდირებულ იქნა დუისბურგი. დაწვრილებითი ცნობები ჯერჯერობით არ არის.

„ჰამბურგერ ფრემდენბლატის" ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები ჰამბურგსა და ჰანოვერს. მთელ რიგ გარეუბნებში გაჩნდა ხანძარი.

ბერლინი, 23 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგ ცნობას:

„გუშინ აღებულ იქნა სტრასბურგის უძლიერესი სიმაგრე — მიუციგი ვოგეზების აღმოსავლეთ განაპირაზე. მაჟინოს ხაზის ცალკეულ უბნებში, ქვემო ელზასში, ლორენსა და ვოგეზებში ჯერ კიდევ გვიწევენ წინააღმდეგობას, რომელიც დაძლეული იქნება უმოკლეს ხანში.

ატლანტის ოკეანის სანაპიროს რაიონში გერმანიის მოტორიზებულმა ჯგუფებმა წაიწიეს ქალაქ ლია როშელამდე. ავიღეთ საფრანგეთის სამხედრო ნავსადგური სენ-ნაზერი. დიდძალ ნადავლს შორის არის ტანკებიც, რომლებიც დატვირთული იყო ზურგში გადასაგზავნად. მდინარე რონის ველზე გერმანიის ჯარის ნაწილები ლიონიდან და მისი აღმოსავლეთით მიიწევენ სამხრეთისაკენ. გერმანიის ჯარის ნაწილებმა გადალახეს მდინარე რონა სავოის ალპების შტოებთან, ჟენევის სამხრეთ-დასავლეთით.

სენ-ნაზერსა და ჟირონდას შორის, ატლანტის ოკეანეს საფრანგეთის სანაპიროს საჰაერო დაზვერვის დროს, ბომბარდირების შედეგად ძლიერ იქნა დაზიანებული ხუთი სავაჭრო გემი, რომელთაგან თვითეულის წყალწყვა უდრის 3-დან 10 ათასამდე ტონას.

22 ივნისს გერმანიის ავიაგამანადგურებლებისა და მოპიკირე ყუმბარმშენების იერიშები მიმართული იყო უმთავრესად ბორდოს ჩრდილოეთით მდებარე აეროდრომების წინააღმდეგ. ამასთან როშფორის აეროდრომზე, ყუმბარების მოხვედრის შედეგად, ცეცხლი გაუჩნდა ათ თვითმფრინავს. დაბლა ფრენის დროს სროლის შედეგად დანგრეული იქნა ოცი თვითმფრინავი. მოსპობილია ერთი ანგარი.

მოწინააღმდეგის საერთო დანაკლისი 22 ივნისის განმავლობაში შეადგენს 49 თვითმფრინავს. აქედან საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა 6, დანარჩენი მოსპობილ იქნა მიწაზე. გერმანიის ოთხი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მოწინააღმდეგის 16.090 ტონა წყალწყვის ტანკერი, რომელიც ბადრაგის თანხლებით მიდიოდა.

22 ივნისს, ღამით მოწინააღმდეგის თვითმფრინავები გერმანიას თავს არ დასხმია".

საფრანგეთის ცნობები

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის გუშინდელ კომუნიკეში ნათქვამია: „გერმანელებმა მოახდინეს დაზვერვა ლუარის ქვედა წელის სამხრეთით, პუატიეს მიმართულებით, და რამდენადმე გააძლიერეს წინსვლა რონის ველით, იზერის მიმართულებით.

ალპების სამხრეთ ფრონტზე იტალიელებმა მრავალ ადგილას იერიშები მიიტანეს მონბლანიდან ზღვამდე. ფრანგები თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ".

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 23 ივნისი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 21 ივნისს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიაში ყუმბარები დაუშინა სამხედრო ობიექტებს. ბაზაში არ დაბრუნებულა 2 ყუმბარმშენი. ჩრდილოეთის ზღვაში ჩაძირულ იქნა მტრის დიდი ტრანსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიის პრემიერ-მინისტრის სიტყვა

რიგა, 22 ივნისი (საკდესი). დღეს, დილით, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შეიკრიბნენ სამინისტროს მოხელეები, რათა მოესმინათ პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმსრულებლის პროფესორ ავგუსტ კირხენშტეინის სიტყვა და მითითებანი. პრემიერ-მინისტრმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე ამ პოსტის დაკავების წინადადება მისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ მაინც, როდესაც სახელმწიფოს პრეზიდენტმა წინადადება მისცა დაეკავებინა პრემიერ-მინისტრის პოსტი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობა დროებით აღესრულებინა, მან, პროფესორმა კირხენშტეინმა, მიიღო ეს წინადადება. დრო, როდესაც მან ახალი მთავრობის მეთაურის მოვალეობა იკისრა, არაჩვეულებრივია. ომი ვრცელდება მთელს ევროპაში და არის იმისი საფრთხე, რომ არაევროპულ ქვეყნებსაც მოედება.

— უცხო სახელმწიფოებთან ჩვენს ურთიერთობაში, — სთქვა პრემიერ-მინისტრმა, — ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან კეთილი ურთიერთობის განვითარებას, არამარტო კეთილის, არამედ მეგობრული ურთიერთობის განვითარებასაც. ასეთ თანამშრომლობას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანობის შენარჩუნებას. ახლანდელ რთულ ვითარებაში ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ლატვიელი ხალხი შესძლებს მომავალშიც მშვიდობიანად განაგრძოს თავისი მუშაობა და რომ ლატვიის სახელმწიფოც იარსებებს".

ლატვიის არმიის სარდლის ბრძანება

რიგა, 22 ივნისი (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ლატვიის არმიის ახალი მთავარსარდლის გენერალ რ. კლიავინშის ბრძანება.

„მეომრებო! ვუდგები რა ჩემი მოვალეობის შესრულებას, პირველ რიგში მოვითხოვ ყოველი თქვენგანისაგან და ყველა თქვენთაგან იმ სამუშაოს შესრულებას, რომელიც თვითეულ თქვენგანს აქვს მინდობილი. თვითეულმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა უნდა გაიგოს, რომ პოლიტიკური ვითარება, როდესაც ნახევარი ევროპა ომის ალში იწვის, დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩვენ მთელი ძალებითა და ნებაყოფლობით შევასრულოთ ყველა ის ვალდებულებანი და მოვალეობანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირთან დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გვაკისრებს. ამ ხელშეკრულების მეოხებით ჩვენ თავი დავაღწიეთ ომის საფრთხეს და მხოლოდ ამ ხელშეკრულებას შეუძლია მომავალშიც დაგვიცვას ომისაგან. ამიტომ ჩემი მეორე მოთხოვნა თვითეული თანამდებობის პირისა და ყველა სამხედრო პირისადმი იმით გამოიხატება, რომ საჭიროა შეასრულოთ თქვენი მოვალეობა ისე, რომ სულ უფროდაუფრო გაუმჯობესდეს და განმტკიცდეს კარგი თანამშრომლობა და ურთიერთობა ჩვენს ჯარსა და საბჭოთა კავშირის ჯარს შორის, რომელიც ჩვენში მოვიდა, როგორც ჩვენი მოკავშირე. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ საუკეთესო სამსახურს გავუწევთ ჩვენს სამშობლოს. არმიის სარდალი გენერალი რ. კლიავინში".

ლიტვის პრესა საბჭოთა კავშირ-ლიტვის მეგობრობის შესახებ

კაუნასი, 22 ივნისი (საკდესი). ყველა ამ დღეებში ლიტვის პრესა ბევრ სტატიას აქვეყნებს საბჭოთა კავშირ-ლიტვის მეგობრობისა და წითელი არმიის შესახებ. ამ სტატიებში გამოსთქვამენ მხურვალე სიმპატიებს წითელი არმიისადმი, საბჭოთა კავშირისადმი, სსრ კავშირის ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვისადმი. გაზეთები ათავსებენ ამხანაგ სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის პორტრეტებს. დღეს გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი" სწერს:

„ყველგან გამეფებული იყო სიბნელე და მას დასასრული არ უჩანდა. ლიტვის მშრომელები მუდამ იმედით შეჰყურებდნენ მსოფლიოში ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანას—ჩვენს დიდ მეზობელს, საბჭოთა კავშირს, რომელიც ხალხის სისხლითა და შრომით შეიქმნა. სსრ კავშირიდან გამოსული სინათლე ჩვენს ქვეყანაშიც შემოდიოდა. მაგრამ უცხოეთის ბურჟუაზიის აგენტები—ლიტვის ყოფილი მმართველები — კეთილდღეობას მხოლოდ თავისთვის ჰქმნიდნენ, მშრომელი ხალხი კი მონების მდგომარეობაში ჰყავდათ. ახლა ჩვენ მეგობრული საბჭოთა კავშირის დახმარებით ამას ბოლო მოვუღეთ. ჩვენ უდიდეს მადლობას ვწირავთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადს—სტალინს. ჩვენ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომელსაც მოლოტოვი მეთაურობს.

„გაუმარჯოს უძლეველ წითელ არმიას!".

„დიდი ზიანი მოგვაყენეს ჩვენ ლიტვის წინანდელმა მმართველებმა, —სწერს გაზეთი „ფოლკსბლატი". ისინი ხალხებს შორის შუღლსა და სიძულვილს აღვივებდნენ. ისინი ყალბ და საზიზღარ ხმებს ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირის შესახებ იმიტომ, რომ იგი იბრძვის მშვიდობიანობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის. ნაციონალური მტრობა და სიძულვილი, რაც რეაქციის დასაყრდენს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში, ჩვენს ქვეყანაშიც დასთესეს. ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ ხალხი ამ შხამისაგან, რომლითაც მისი მოწამვლა ჰსურდათ. ამ მხრივ ჩვენ დაგვეხმარება წითელი არმიის მოსვლა. ამისათვის უეჭველია, ჩვენი ახალი მთავრობაც იზრუნებს. თვითეული ჩვენგანის მოვალეობაა დავეხმაროთ ამ მხრივ მთავრობას. ყველას უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ დაიცვას ქვეყანა მტრისაგან, თუ იგი გამოჩნდა. ეს არის მოვალეობა თვითეული პატიოსანი და მოწინავე ადამიანისა, რომელსაც ესმის და რომელსაც შეუძლია შეაფასოს იმ ეპოქის მოთხოვნები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ".

ვილნოს გაზეთი „ვილნაუს ბალსასი" დღეს სწერს:

„ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ ჩვენს დიდ მეზობელს. როგორც კი წითელი არმიის ნაწილები ლიტვაში მოვიდნენ, ლიტვის ხალხისათვის საძულველი პლუტოკრატები საზღვარგარეთ გაიქცნენ და ამით გადაარჩინეს თავიანთი გაბერილი ლიპები".

ყველა ამ დღეებში გაზეთები აქვეყნებენ ლიტვის მშრომელთა კრებებისა და მიტინგების უამრავ რეზოლუციებს, რომლებითაც ისინი მიესალმებიან ახალ მთავრობას და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ სმეტონისა და მისი ხროვის რეაქციულ რეჟიმს.

საქმეების გადაცემა ლატვიის რესპუბლიკის ახალი მინისტრებისათვის

რიგა, 22 ივნისი (საკდესი). გუშინ სამინისტროებში სწარმოებდა საქმეების გადაცემა ახალი მინისტრებისათვის, რომელნიც დეპარტამენტთა მოხელეებს შეხვდნენ.

ესტონეთის მთავრობის დეკლარაცია

ტალინი, 22 ივნისი (საკდესი). დღეს, 21 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით, ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა იოჰანეს ვარესმა (ბარბარუსი) რადიოთი გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია.

დეკლარაციაში ნათქვამია:

„ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქენო!

გუშინ შესდგა ესტონეთის ახალი მთავრობა. მან შესცვალა ანტიხალხური მთავრობა, რომელმაც ვერ შესძლო და არც სურდა უზრუნველეყო სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რითაც დაინტერესებულია ესტონეთის ხალხი. ძველ მთავრობას არ შესწევდა უნარი და არც სურდა პატიოსნად გაეტარებინა ცხოვრებაში საბჭოთა კავშირ-ესტონეთის ურთიერთდახმარების პაქტი, რომელმაც ომის ხანძრისაგან იხსნა ჩვენი სამშობლო და უზრუნველჰყოფს ესტონეთისათვის მშვიდობიანობას და მისი საზღვრების უშიშროებას. ძველი მთავრობის პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ესტონელი ხალხის ძირითად ინტერესებს.

უდგება რა თავისი მაღალი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულებას, ესტონეთის რესპუბლიკის ახალ მთავრობას თავის პირველ მოვალეობად მიაჩნია საჯაროდ განაცხადოს ესტონეთის მთელი ხალხის წინაშე, რომ მის პროგრამას წარმოადგენს ყოველნაირად ემსახუროს ხალხს, მის ინტერესებსა და სურვილებს, რომლებსაც დღემდე უხეშად სთელავდა და უგულებელჰყოფდა წინანდელ მთავრობათა რეაქციული რეჟიმი. ამ ძირითადი პრინციპის საფუძველზე, ახალი მთავრობა ისახავს შემდეგს უმთავრეს ამოცანებს:

საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობა, იქონიებს რა ნორმალურ ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, პირველ რიგში უზრუნველჰყოფს სსრ კავშირთან დადებული ურთიერთდახმარების პაქტის პატიოსნად და კეთილსინდისიერად შესრულებას და სსრ კავშირთან ნამდვილად გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

მთავრობა სცნობს, რომ მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება ესტონეთის თავდაცვისა და დამოუკიდებლობის მტკიცე უზრუნველყოფა.

საშინაო პოლიტიკის დარგში მთავრობა მთელ თავის ძალას მოახმარს ხალხის უფლებათა სავსებით უზრუნველყოფას, მისი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას, ნაციონალური კულტურის განვითარებასა და სამშობლოს აყვავებას. ამ მიზნით, მთავრობა უზრუნველჰყოფს ხალხისათვის დემოკრატიულ უფლებებს. იგი დაუყოვნებლივ გამოაცხადებს პოლიტიკურ პატიმართა—ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ამნისტიას.

მთავრობა დააყენებს საკითხს, რომ დათხოვნილ იქნას ახლანდელი სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო, რომლებიც ახლა ვერ გამოხატავენ ხალხის ნება-სურვილს და რომ ჩატარდეს ახალი არჩევნები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილი ხალხური წარმომადგენლობა; დაშლის და აკრძალავს ხალხისადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაციებს; დააყენებს ადგილობრივ თვითმმართველობათა ახალი არჩევნების ჩატარების საკითხს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ თვითმმართველობებში ხალხის ნამდვილი მონაწილეობა.

ახალი მთავრობა გასწმენდს სახელმწიფო აპარატს დანაშაულებრივი, კორუმპირებული ელემენტებისაგან; მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის ორგანიზაციების დახმარებით გადამწყვეტ ბრძოლას გააჩაღებს სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმისა და ზედმეტი ხარჯების ლიკვიდაციისათვის, ამასთან დამპალ, კორუმპირებულ და ბიუროკრატიულ ელემენტებს შესცვლის ხალხის სხვადასხვა ფენებიდან წამოყენებული ახალი ძალებით, რათა გახადოს სახელმწიფო აპარატი პატიოსანი, იაფი და ისეთი, რომ იგი ყურადღებით ეკიდებოდეს ხალხის საჭიროებებს.

მთავრობა ეცდება უზრუნველჰყოს ესტონეთში მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათა უფლებანი, გადაჭრით აღმოფხვრას ერთა შორის შუღლი და მიაღწიოს ხალხთა ჭეშმარიტ მეგობრობას ჩვენს ქვეყანაში. მთავრობა მიიღებს საჭირო ზომებს იმ კანონების გასატარებლად, რომლებიც მიმართულია მუშათა კლასისა და ინტელიგენციის შრომის პირობების და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, აგრეთვე იმ კანონებისა, რომლებიც მიმართულია ესტონეთის გლეხთა მეურნეობისა და კულტურის განვითარებისა და აღმავლობისაკენ.

მთავრობა სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ყოველმხრივ განვითარებას. იგი ყოველივე ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ ესტონეთის ეკონომიური ცხოვრება, მისი ვაჭრობა და მრეწველობა აყვავდეს ჩვენს დიდ მეზობელთან და მეგობართან — საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის ბაზაზე.

იზიარებს რა ესტონელი ხალხის გულთბილ გრძნობებს წითელი არმიისადმი, მთავრობა თავის მხრივ სავსებით შეუწყობს ხელს და დახმარებას გაუწევს ესტონეთში დაბანაკებულ საბჭოთა ჯარს. თავისი პოზიციის სისწორეში ღრმად დარწმუნებული, რომ მისი მოქმედების პროგრამა გამოხატავს ხალხის ნამდვილ ინტერესებს და ემსახურება ჩვენი სამშობლოს დიდებისა და აყვავების საქმეს, მთავრობა მოუწოდებს ესტონეთის ყველა მოქალაქეს, მდგომარეობის, ეროვნების, სქესისა და რელიგიური რწმენის დამოუკიდებლად, მჭიდროდ დაირაზმონ სახელმწიფოს ახალი ისტორიული ამოცანების გარშემო და ფართო საზოგადოებრივი დახმარება გაუწიონ მთავრობას მუშაობაში".

ლატვია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მძლავრი დემონსტრაცია

რიგა, 22 ივნისი (საკდესი). გუშინ რიგაში მოწყობილმა დემონსტრაციამ დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა. მთელი ქალაქი ქუჩაში გამოეფინა, რათა გამოსთქვას თავისი ნდობა ლატვიის ახალი მთავრობისადმი, სიყვარულისა და მადლობის სიტყვები გადასცეს მეგობარ საბჭოთა კავშირს, მის ხალხებს, რომლებმაც ლატვიის ხალხს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს. დილიდან დაღამებამდე დაუსრულებელ ნაკადად მიდიოდნენ დემონსტრანტთა კოლონები წითელი დროშებით, სიმღერით. საუცხოო და ამაღელვებელი იყო ლატვიის მშრომელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის მეომრებთან და მეთაურებთან. ტანკებსა და ავტომობილებზე მოწყობილი იყო იმპროვიზებული ტრიბუნები, რომლებიდანაც მიესალმებოდნენ წითელ არმიას და საბჭოთა კავშირს. განთავისუფლებული ხალხი ხმამაღლა ლაპარაკობდა წითელი არმიისადმი ლატვიის ხალხის ძმურ დამოკიდებულებაზე, ლატვიისა და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაზე.

დემონსტრანტთა კოლონები რამდენიმე კილომეტრზე იყო გაჭიმული. ქალაქს ვეღარ იცნობდით. სადღესასწაულოდ მორთული სახლები, ბევრი ტროლეიბუსი და ტრამვაის ვაგონები მორთულია წითელი ბაირაღებით, მწვანე გირლანდებით.

ცენტრალურ საპატიმროს შენობასთან გაემართა განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმართა შეხვედრა. აქ ათასობით ადამიანებმა მოიყარეს თავი. განთავისუფლებულთ ესროდნენ ყვავილებს, სთავაზობდნენ უამრავ საჩუქარს. საპატიმროს კარებთან კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ნათესავები და ნაცნობები, რომლებსაც 5-10 წლის განმავლობაში ერთმანეთი არ უნახავთ. გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები ლატვიის ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა პატივსაცემად.

თავისი მეგობრებისა და ამხანაგების გვერდით დემონსტრანტთა კოლონებში მიდიან ყოფილი პოლიტიკური პატიმრები, ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ პატიმრის ხალათი აცვია. ეს ჭეშმარიტად ამაღელვებელი შეხვედრა იყო. ყოველ საათობით იზრდებოდა ხალხის უმაგალითო მსვლელობის მძლავრი ნაკადი. აღფრთოვანებამ და საყოველთაო აღტაცებამ კიდევ უფრო იმატა მაშინ, როდესაც დემონსტრანტებმა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობის გვერდით გაიარეს. გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", რის საპასუხოდ გრიალებს მძლავრი „ურა"!. სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის აივნიდან დემონსტრანტებს მიესალმებიან სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა და საბჭოთა სარდლობის წარმომადგენლები. ისინი მადლობას უძღვნიან ლატვიის მშრომელებს მეგობრული, გულთბილი შეხვედრისათვის და ულოცავენ ლატვიის რესპუბლიკის ახალი მთავრობის შექმნას. სამ საათზე მეტს მიდიოდნენ დემონსტრანტთა კოლონები საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობის ახლოს. შემდეგ სახალხო დემონსტრაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობისაკენ გაემართა და მხურვალედ მიესალმა ახალი მთავრობის წევრებს. სამინისტროს ახლო მდებარე ყველა ქუჩა და ბულვარები ხალხით არის გაჭედილი.

ცენტრიდან დემონსტრანტთა მრავალრიცხოვანი კოლონები გაემართნენ სამხედრო გემების ბაზისაკენ მდინარე დვინაზე. წითელფლოტელები გულთბილად მიესალმნენ დემონსტრანტებს. ფლოტის სარდლობამ მადლობა გადაუხადა ლატვიის მშრომელებს გულთბილი შეხვედრისათვის.

იტალიის სამეურნეო ღონისძიებანი

ბერლინი, 22 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" გადმოგვცემს იტალიის ახალ სამეურნეო ღონისძიებებს. ომიანობის დროის ვითარების გამო, სწერს გაზეთი, იტალიის მთავრობამ, შაქრის ეკონომიის მიზნით, აკრძალა შაქრის მიცემა საკონდიტრო საწარმოებისა და იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ნაყინს ამზადებენ. რომში კვლავ მცირდება ქუჩის ტრანსპორტის მოძრაობა. ტრამვაისა და ავტობუსის მთელი რიგი ხაზები დახურულია.

ესტონეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობა

(ცნობა)

ესტონეთის ახლადშექმნილი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ ესტონეთის მოწინავე ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომელთაც ფართოდ იცნობს მთელი ეს ქვეყანა.

პრემიერ-მინისტრი--იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი), დაიბადა 1890 წელს. 1914 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1921 წლამდე სამხედრო ექიმად იყო. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი) ექიმად მუშაობდა პიარნუსა და ტალინში. როგორც გულხმიერმა და გულმტკივნეულმა ექიმმა, იოჰანეს ვარესმა (ბარბარუსმა) განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტი და სახელი მოიპოვა მოსახლეობის ფართო ფენებში. იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი) საექიმო პრაქტიკასთან ერთად მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი სამეცნიერო სტატიები მედიცინის საკითხებზე. ერთდროულად იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი) ცნობილი საზოგადო მოღვაწე და უპოპულიარესი ესტონელი პოეტია. ლიტერატურულ მოღვაწეობას იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი) ეწევა 1910 წლიდან. მისი ლექსები გამოცემულია 11 კრებულად. ესტონეთის ლიტერატურულ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. იოჰანეს ვარესი (ბარბარუსი) თანამიმდევრობით იბრძოდა თავის ქვეყანაში დემოკრატიული თავისუფლებისათვის და არაერთხელ გამოსულა საბჭოთა კავშირთან მეგობრული და გულწრფელი ურთიერთობის დასამყარებლად.

მინისტრი და პრემიერ-მინისტრის მოადგილე — პროფესორი ჰანს კრუუსი. დაიბადა 1891 წელს. პირველდაწყებითი და უმაღლესი განათლება ტარტუში მიიღო. დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი. სამხედრო განათლება მიიღო პრაპორშჩიკების სკოლაში. 1915 წელს დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. რედაქტორობდა ჟურნალ „ვაბა სინას" („თავისუფალი სიტყვა"), „ტეია ვიიტლუსს" („შრომა და ბრძოლა") და „ტეეზისტე ვიიტლუსს" („მშრომელთა ბრძოლა"). ფართოდ ცნობილია როგორც ავტორი მრავალი მეცნიერული შრომისა ესტონეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ისტორიის დარგში. 1934 წლიდან 1937 წლამდე ჰანს კრუუსი ტარტუს უნივერსიტეტის პრორექტორი იყო. იგი ესტონეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა.

საგარეო საქმეთა მინისტრი—ნიგოლ ანდრეზენი. დაიბადა 1899 წელს. რიკვერის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ ესტონურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა საშუალო სასწავლებლებში. იგი არის მრავალი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიის ავტორი, ესტონეთის პროფმოძრაობის ცნობილი მოღვაწე, ტალინის ქალაქის სათათბიროს წევრი. ფართოდ არის ცნობილი ესტონეთის ინტელიგენციის წრეებში.

სამხედრო მინისტრი — გენერალ-მაიორი ტინის როტბერგი. დაიბადა 1882 წელს. სამხედრო განათლება მიიღო ვილნოს სამხედრო სასწავლებელსა და პეტროგრადის საინტენდანტო აკადემიაში. ტინის როტბერგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ესტონეთის არმიის შექმნაში. 1919 წელს იყო ესტონეთის პირველი დივიზიის ინტენდანტი, შემდეგ კი არმიის მომარაგების უფროსი. 1928 წელს ტინის როტბერგმა გენერალ-მაიორის ხარისხი მიიღო. 1938 წლიდან სამხედრო მინისტრის თანაშემწეა. დამსახურებისათვის დაჯილდოებულია მთელი რიგი ორდენებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი—მაქსიმ უნტი. დაიბადა 1898 წელს. დაამთავრა გიმნაზია. იგი არის ესტონეთის პროფკავშირული მოძრაობის ერთერთი ხელმძღვანელი მოღვაწე. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო სამაზრო სამმართველოსა და ქალ. პიარნუს საქალაქო სათათბიროს წევრი და ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

სახალხო მეურნეობის მინისტრი—იუჰან ნიხტიგი. დაიბადა 1888 წელს. 1917 წლიდან 1935 წლამდე იყო ესტონეთის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის აქტიური მოღვაწე. უკანასკნელ ხანს იყო გამომცემლობა „უუს ესტის" დირექტორი. იუჰან ნიხტიგი ცნობილი კოოპერატორია, ავტორიტეტით სარგებლობს ესტონეთის სამეურნეო წრეებში. იგი საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის მომხრეა.

მიწათმოქმედების მინისტრი—ალექსანდრე იოერი. დაიბადა 1890 წელს. ადვოკატი. მუშაობდა იურისკონსულტად საარემაას (ეზელის) კუნძულის სასამართლო ორგანოებში. დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს სოფლის მეურნეობის დარგში. ესტონეთის პროფკავშირული და კოოპერაციული მოძრაობის ცნობილი მოღვაწეა. მუშაობდა ჟურნალისტად. უკანასკნელ წლებში ადვოკატად მუშაობდა ტალინში. აქტიურ მონაწილეობას იღებს თავის ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1920 წლიდან ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრია.

გზათა მინისტრი — ორესტ კიარმი. დაიბადა 1902 წელს. 1935 წელს დაამთავრა ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტის საამშენებლო განყოფილება. ინჟინერია. მუშაობდა ტორფის სახელმწიფო ქარხანაში, უკანასკნელ ხანს კი განაგებდა ტალინის ტორფის ქარხანას.

განათლების მინისტრი—იოჰანეს სემპერი. დაიბადა 1892 წელს. ლიტერატურასა და ფილოსოფიას სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო არქიტექტურას—რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სწავლას განაგრძობდა საზღვარგარეთ. ტარტუს უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მიიღო ისტორიისა და ლიტერატურის მაგისტრის სახელწოდება. ცნობილი ესტონელი პოეტი და მწერალია. ერთერთი საუკეთესო მთარგმნელია ბოდლერისა, სტენდალისა, ზოლასი, ბლოკისა, ბრიუსოვისა და სხვ. ლიტერატურულ მხატვრულ ჟურნალ „ლოომინგის" („შემოქმედება") რედაქტორია. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ესტონეთის მშრომელი ინტელიგენციის წრეებში.

იუსტიციის მინისტრი — ბორის სეპი. დაიბადა 1894 წელს. მიღებული აქვს იურიდიული განათლება. თვალსაჩინო მოღვაწეა იუსტიციის დარგში. აქტიურ მონაწილეობას იღებს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფართოდ არის ცნობილი ინტელიგენციის წრეებში.

სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — ნეემე რუუსი. დაიბადა 1911 წელს. დაამთავრა პიარნუს გიმნაზია. აქტიური პროფკავშირული მოღვაწეა. მუშაობდა საკანტორო და სავაჭრო მოსამსახურეთა პროფკავშირის მდივნად. ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრია. დიდი პოპულარობით სარგებლობს ესტონეთის მშრომელთა შორის.

ს. გაფიატულინი

თათრეთის ასსრ სახკომსაბჭოს
თავმჯდომარე

თათრეთის ასს რესპუბლიკის 20 წელი

ყოფილ ყაზანის გუბერნიაში მოსახლე ხალხები ასობით წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ მეფის თვითმპყრობელობის, ადგილობრივ მემამულეთა, კაპიტალისტთა და კულაკთა უღელქვეშ. მშრომელ თათრებს კულტურის გზა დახშული ჰქონდათ. თათრულ სოფელში შიმშილი, უუფლებობა, სიბნელე და უმეცრება მეფობდა.

თითო-ოროლა სოფელში არსებულ სკოლას მოლები და იმანები განაგებდნენ და ერთადერთს „საგანს"—ყურანს ასწავლიდნენ. სწორედ ასეთ სკოლაზე სწერდა ნიჭიერი თათარი პოეტი ა. ტუკაი: „მრავალი დუხჭირი წელი დავყავით მედრესეში, სიბნელე ვიპოვნეთ მედრესეში, სინათლე კი დავკარგეთო".

ამ მხარის სამეურნეო და კულტურულ ზრდას საუკუნეობით ხელოვნურად აფერხებდნენ. მრეწველობის ნაცვლად შინამრეწველური და ნახევრადშინამრეწველური საწარმოები იყო და მათ პრიმიტიული მოწყობილობა გააჩნდათ. სოფლის მეურნეობა შეუჩერებელ დეგრადაციას განიცდიდა. მიწის 40 პროცენტი მემამულეთა, კულაკთა და სამღვდელოების ხელში იყო.

კავი, ხის ფარცხი და თოხი—აი ყოფილი ყაზანის გუბერნიის რევოლუციამდელი სოფლის „ტექნიკური შეჭურვილობა".

მეფის რუსეთის გუბერნიათაგან ყაზანის გუბერნიას მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ ერთერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა (დაახლოებით 83 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი იყო), სხვადასხვა სოციალური ავადმყოფობის მხრივ კი ერთერთ პირველ ადგილზე იყო. ყაზანის გუბერნიაში მოსახლე ხალხებს—თათრებს, ჩუვაშებს, ბაშკირებს, უდმურტებს—წართმეული ჰქონდათ თავიანთი დედაენის უფლებაც კი.

დიდმა ოქტომბერმა სასიხარულო ცხოვრებისა და შემოქმედებითი შრომის ფართო გზა გაუხსნა თათრეთის მუშებსა და მშრომელ გლეხობას.

20 წლის წინათ, 1920 წლის 27 მაისს, პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის ინიციატივით გამოცემულ იქნა დეკრეტი თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

1920 წლის 25 ივნისს ყაზანის საგუბერნიო აღმასკომმა ძალაუფლება ყოფილი ყაზანის გუბერნიის ტერიტორიაზე გადასცა თათრეთის რესპუბლიკის დროებითს რევოლუციურ საბჭოს.

თათრეთის მშრომელები, დღესასწაულობენ რა ამ ღირსშესანიშნავი თარიღის ოცი წლისთავს, აღსავსენი არიან უღრმესი მადლობით, სიყვარულითა და ერთგულებით ბოლშევიკების პარტიისა და ამხანაგ **სტალინისადმი.** ამხანაგი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით მზადდება დეკრეტი თათრეთის რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად, დაუცხრომლად, მამობრივი მზრუნველობით ადევნებდა თვალყურს თათრეთში საბჭოთა ხელისუფლების განვითარებასა და განმტკიცებას. დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით თათრეთის ასს რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებას მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში იგი იქცა მოწინავე, აყვავებულ ორდენოსან ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად.

ეს გამარჯვება თავისით როდი მოსულა, იგი მოპოვებულია სიძნელეებთან ბრძოლაში, ხალხის მტრებთან—უცხოეთის დაზვერვათა დავალებით მოქმედ ტროცკისტებთან, ბუხარინელებთან, ზინოვიეველებთან და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ბრძოლაში.

თათრეთის მაგალითით შეგვიძლია ერთხელ კიდევ დავასურათოთ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებანი. რევოლუციამდე ჩამორჩენილი მიწათმოქმედების მხარე, ამჟამად ინდუსტრიული მხარეა. თათრეთის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონა 86 პროცენტს შეადგენს.

1939 წელს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ღირებულება 1.125 მილიონ მანეთს (1926-27 წლის ფასებით) უდრიდა. ამ თანხიდან 1.024 მილიონი მანეთი მსხვილ მრეწველობაზე მოდის. 1913 წელს კი ყაზანის გუბერნიის მთელმა მსხვილმა მრეწველობამ მხოლოდ 90 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოიმუშავა. ყაზანის გუბერნიის ყველაზე დიდი საწარმო მაშინ იყო ძმათა კრესტოვნიკოვების საპონ-სტეარინის ქარხანა, — ამჟამად ვახიტოვის სახელობის ცხიმკომბინატი,—სადაც 2,5 ათასამდე კაცი მუშაობდა.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში თათრეთის ასს რესპუბლიკაში წარმოიშვა გიგანტები, რომლებთანაც რევოლუციამდელ საწარმოთა შედარებაც კი არ შეიძლება. ამ გიგანტებშია სერგო ორჯონიკიძის სახელობის, კიროვის სახელობის, ვახიტოვის სახელობის ქარხნები, კინოაფსკის ქარხანა, თექა-სამთელავო ფაბრიკა, ბეწვეულის კომბინატი და მრავალი სხვა. ძველი საწარმონი სტალინური ხუთწლედების განმავლობაში გაფართოებული და რეკონსტრუირებულია.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა რიცხვი. 1913 წელს ყაზანის გუბერნიის მთელს მრეწველობას 25.157 მუშა ჰყავდა, 1939 წელს კი თათრეთის მრეწველობაში 111 ათასზე მეტი კაცი მუშაობდა. 1921 წელთან შედარებით ერთი-ათად გაიზარდა თათარ მუშათა რიცხვი მსხვილ მრეწველობაში.

იზრდება და ვითარდება სარეწაო კოოპერაცია. კოოპერირებულ შინამრეწველთა რიცხვი 40 ათასს აღწევს, ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იგი ერთი-ორად გადიდდა.

რესპუბლიკაში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას. მხოლოდ ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ერთი მუშის საშუალო გამომუშავება 27,2 პროცენტით გადიდდა.

უდიდესი ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობაში. 1939 წლის დამლევისათვის თათრეთის კოლმეურნეობანი აერთიანებდნენ გლეხურ მეურნეობათა 94,6 პროცენტს (გარდა ამისა, რესპუბლიკაში 53 საბჭოთა მეურნეობაა).

სათესი ფართობი 1928 წლის დამდეგს 2.718 ათას ჰექტარს შეადგენდა, 1939 წელს კი იგი 3.159 ათას ჰექტარამდე გადიდდა. სათესი ფართობის 92 პროცენტი კოლმეურნეობათა ხელშია.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში თათრეთი მოიფინა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხშირი ქსელით. ტრაქტორებმა და კომბაინებმა სოფლის მეურნეობაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს. კოლმეურნეობათა მთელი ყანების სამ მეოთხედზე მეტის დამუშავება ტრაქტორებით სწარმოებს, საკოლმეურნეო ნათესების ნახევარზე მეტის მოსავლის აღება კომბაინებით ხდება.

რესპუბლიკის ყანებმა სახე იცვალეს, სამუდამოდ გაქრა ყაზანის გუბერნიაში ყველაზე უფრო გავრცელებული მარცვლეული კულტურა ველური ასლი. მან ადგილი დაუთმო ხორბალს. 539 ათასი ცენტნერი—აი ხორბლის საერთო მოსავალი 1913 წელს, 1937 წელს კი თათრეთმა 8 მილიონამდე ცენტნერი ხორბლის მოსავალი მოიყვანა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობანი თავის მიწებში მხოლოდდამხოლოდ ჯიშიან თესლს სთესავენ. მატულობს ყანების მოსავლიანობა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატება მკაფიოდ იქნა დემონსტრირებული სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. 1939 წელს გამოფენაზე მონაწილეობდნენ: 457 კოლმეურნეობა, 119 მეცხოველეობის ფერმა, 2 მტს, 6 საბჭოთა მეურნეობა და 2.600 მოწინავე.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის. მაგრამ ეს დარგი ჯერ კიდევ ჩამორჩება. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 5 წლის განმავლობაში მხოლოდ ათასზე ცოტა მეტი სულით გადიდდა, უმნიშვნელოა ცხენისა და ცხვრის სულადობის ზრდა.

სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდამ ყველა საჭირო პირობა შექმნა თათრეთის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საშუალო თვიური ხელფასი გადიდდა 67 მანეთიდან 277 მანეთამდე, მნიშვნელოვნად გადიდდა ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნის შრომადღის ღირებულება. ყოველწლიურად დიდდება სახელმწიფო ასიგნობანი კულტურულ ღონისძიებათათვის—განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ინვალიდებისა და მოხუცებულობის დახმარების, საბინაო და კომუნალური მეურნეობისათვის და სხვ.

თათრეთში ჰყვავის კულტურა, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური. 1913-14 წლებში ყოფილ ყაზანის გუბერნიაში 1.826 პირველდაწყებითი და საშუალო სკოლა იყო, ახლა კი 3.694 სკოლაა, მათ შორის 940 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი 114 ათასიდან 577 ათას კაცამდე გადიდდა.

ყაზანის გუბერნიას მხოლოდ 35 თათრული სკოლა ჰქონდა, თათრეთის ასს რესპუბლიკაში კი 1.732 ასეთი სკოლაა და იქ 281 ათასი მოსწავლე სწავლობს. უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი 3-დან 14-მდე გადიდდა, ხოლო იქ მოსწავლეთა რიცხვი 3.488-დან 11.035-მდე. შემოღებულია საყოველთაო-პირველდაწყებითი სწავლა. თათრეთი ძირითადად მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა. რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობა 16 პროცენტს შეადგენდა, ახლა კი მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის მცოდნეა.

იცვლება თათრეთის ქალაქებისა და სოფლების სახე. მიზგითების, ეკლესიებისა და სამიკიტნოების ნაცვლად, იზრდება კლუბების, თეატრების, ბიბლიოთეკების, კინოებისა და ქოხ-სამკითხველოების ქსელი. 1913 წელს ყაზანის გუბერნიაში ერთი საჯარო ბიბლიოთეკა იყო და მას 10 ათასი წიგნი ჰქონდა, ახლა კი თათრეთში 2.030 ბიბლიოთეკაა და წიგნის ფონდი 2 მილიონზე მეტ ტომს შეადგენს. საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს გაუხსნა პოლიტიკური და კულტურული ზრდის ფართო გზა.

თათრული თეატრები, გაზეთები და წიგნები—ყოველივე ეს თათარ ხალხს მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

თათრეთში ისეთი კოლმეურნე კომლი არ მოიპოვება, გაზეთს რომ არ იწერდეს, თითქმის ისეთი სოფელი არ არის, სადაც 8-10 მასწავლებელი, ექიმი, ფერშალი, ქოხ-სამკითხველოს მუშაკი და კულტმუშაკი არ იყოს, კაიბიცის რაიონის სოფელ რუსაკოვოს ქოხ-სამკითხველოს, მაგალითად, 113 აქტივისტი ჰყავს, მრავალი წრე მუშაობს.

საბჭოთა თათრეთის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა კადრების შექმნა, რომლებიც ბოლშევიზმის თეორიას ეუფლებიან. ამ წლებში აღიზარდა ათიათასობით ნიჭიერი ორგანიზატორი სოციალისტური წარმოებისა ქალაქად და სოფლად, საბჭოთა, სახალხო ინტელიგენტი. მარტო მასწავლებელი ჰყავს რესპუბლიკას 22 ათასი და ამათგან ნახევარზე მეტი თათარია. მხოლოდ ამ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მომზადებულია ტრაქტორისტების, კომბაინერების, ბრიგადირების, შოფერებისა და სხვათა მთელი არმია 68 ათასი კაცის რაოდენობით.

მღელვარე დღეებს განიცდიან ჩვენი რესპუბლიკის ხალხები: თათრეთის ასს რესპუბლიკის XX წლისთავი მათი სასიხარულო დღესასწაულია.

აყვავებულ თათრეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სტალინური კონსტიტუციის მზე კაშკაშებს.

კომუნისტურმა პარტიამ, განუხრელად განახორციელა რა **ლენინურ-სტალინური** ნაციონალური პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის ხალხებს შეუქმნა ნათელი, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება.

სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხებთან ხელიხელჩაკიდებული, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით საბჭოთა თათრეთის ხალხები, ამთავრებენ რა სოციალისტური საზოგადოების შენებას, ძლევამოსილად მიდიან კომუნიზმისაკენ.

პარტიული ცხოვრება

ზუსტად დავიცვათ პარტიის წესდება

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

რაიონის პარტიული ორგანიზაციები, მტკიცედ იცავენ რა პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინურ ნაცად პრინციპს, პარტიაში ღებულობენ მხოლოდ პოლიტიკურად მტკიცე და პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებულ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი აქტივობით თავი გამოიჩინეს სოციალისტური მშენებლობის უბნებზე.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიაში მიღებისას არ იცავს წესდების მოთხოვნებს რეკომენდაციების შესახებ.

სოფ. დილიკაურის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო დ. გ. ქადაგიძე, რომელსაც რეკომენდაციას აძლევდა საკ. კ. პ. (ბ) წევრი პ. ს. ხვედელიძე. რეკომენდაციაში ნათქვამია: „ვაძლევ რეკომენდაციას დ. გ. ქადაგიძეს, რომელსაც მე ვიცნობ 1937 წლიდან დილიკაურის კომკავშირის ორგანიზაციაში ერთად მუშაობით“, ეს რეკომენდაცია სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ქადაგიძე კომკავშირის წევრია არა 1937 წლიდან, არამედ 1939 წლიდან და არც ნაცნობობის ხანი ჰყოფნის მას რეკომენდაციისათვის.

სახბანკის ზესტაფონის განყოფილებასთან არსებულმა პარტორგანიზაციამ კანდიდატად მიიღო ამავე განყოფილების თანამშრომელი მ. მგელაძე. მას რეკომენდაციას აძლევდა პარტიის წევრი ამხ. ვ. აბულაძე, რომელიც მუშაობს ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში. რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ რეკომენდებულის მშობლები გაერთიანებული არიან კოლმეურნეობაში, ხოლო თვით მ. მგელაძის ნაცნობობაზე არაფერი იყო ნათქვამი.

შეცდომებს ამ მხრივ ადგილი აქვს კომკავშირის ზესტაფონის რაიკომშიაც. ალკკ ზესტაფონის რაიკომმა რეკომენდაცია მისცა პარტიაში წევრად მიღებაზე პარტიის წევრობის კანდიდატს ამხ. ა. ქართველიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთი წლის წინათ იყო მოხსნილი აღრიცხვიდან კომკავშირში. ასეთი ფაქტები იშვიათი როდია. ეს გარემოება აფერხებს პარტიაში მიღების საქმეს.

საჭიროა კომუნისტები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ რეკომენდაციის გაცემისა და მისი სწორად შედგენის საქმეს. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი სიზუსტით უნდა დაიცვან საკ. კ. პ. (ბ) წესდების მოთხოვნები რეკომენდაციების ხარისხის, მათი გულმოდგინეთ გასინჯვის შესახებ და აღმოფხვრან ამ მიზეზით პარტიაში მიღების გაჭიანურება.

ვ. გოგიაშვილი

მეტი ყურადღება პარტიულ მეურნეობას

ზუგდიდი, 23 ივნისი (საქდესი). პარტიული მეურნეობის მოწესრიგებას — კომუნისტების აღრიცხვას და საწევრო გადასახადების უწყისისა და პარტიული კრებების ოქმების წესიერად გაფორმებას ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი არასაკმაო ყურადღებით ეკიდება.

თბილისის ქარხნის პარტორგანიზაციის წევრი ამხ. ვ. დარჩიაშვილი ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წავიდა სამუშაოდ, ხოლო პარტორგანიზაციას (მდივანი ამხ. გრიგოლია) მისი გადასვლა 4 თვეს არ გაუფორმებია.

სადგურ ინგირის პირველად პარტორგანიზაციაში პარტიაში ახალმიღებული წევრები და პარტიის წევრობის კანდიდატები კომუნისტების სააღრიცხვო ჟურნალში არ არიან შეტანილნი, არასწორად არის შევსებული საწევრო გადასახადის უწყისიც.

სატყეო მეურნეობასთან არსებულ პირველად პარტორგანიზაციაში (მდივანი ამხ. ერ. ფარცვანია) ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიული კრების ოქმების გაფორმებას. ოქმში არ სწარმოებს კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვების ჩაწერა; ნაცვლად იმისა, რომ ოქმში აღინიშნოს, თუ რამდენი კომუნისტი დაესწრო კრებას, სწერენ „კრებას დაესწრო პარტწევრკანდიდატების უმრავლესობა“.

სატყეო მეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ ამასწინათ განიხილა საკითხი „ტყის დღის მიმდინარეობის შესახებ“ და დადგენილებაში ჩასწერა: „მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად“. აღნიშნულ ოქმს არა აქვს აგრეთვე თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა. ამავე ორგანიზაციამ ერთერთ კრებაზე განიხილა ადგილკომის მუშაობის საკითხი. ოქმში ვკითხულობთ: „მუშაობა ცნობილ იქნას სუსტად, დაევალოს შემდეგისათვის გარდაქმნას მუშაობა“.

წინადადებათა ბუნდოვანების, დაუსრულებლობისა და განხილული საკითხის მოუმზადებლობის ფაქტები საკმაოდ მრავლად გვხვდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებათა ოქმებში. პარტიული კრების ოქმი ძვირფასი დოკუმენტია და მის წესიერ გაფორმებას პარტიული ორგანიზაციების მდივნები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან: 1) ვარტკეს გრიგოლის-ძე **ბაბოიანი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0927082 — იმისათვის, რომ პარტიას დაუფარა თავისი მამის წარსული და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული კომკავშირელის დაჭრისათვის. 2) პლატონ თედორეს-ძე **კუტივაძე**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1546361 — ცილისწამებისა და პარტსაწევრო გადასახადის მითვისებისათვის. 3) შალვა კონსტანტინეს-ძე **ჯვარშეიშვილი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1548127—სისტემატური ლოთობისათვის და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. 4) უშანგი ალექსანდრეს-ძე **ბიბილეიშვილი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1940 წლიდან (ვანის რაიონის პარტორგანიზაციიდან) — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. 5) იპოლიტე ელიზბარის-ძე **ფარცვანია**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2015983 — საკოლმეურნეო თანხების გატაცებაში მონაწილეობის მიღებისათვის. 6) იაკობ ივანეს-ძე **სიმაკოვი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681267 — სიყალბის ჩადენისათვის,

აკაკის ნაწარმოებნი რუსულ ენაზე

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის დელეგაციამ, რომელიც თბილისს ჩამოვიდა აკაკის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, თან ჩამოიტანა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული, რუსული თარგმანი.

წიგნში მოთავსებულია პოეტის 74 ლექსი. ლექსების თარგმანი ეკუთვნის: ვ. ზვიაგინცევას, კ. ლიპსკეროვს, ბ. ბრიკს, ი. ვერხოვსკის, ა. კორჩაგინს, ბ. სერებრიაკოვს, მ. ტარლოვსკის, ა. გატოვს, ს. შერვინსკის, პ. ანტოკოლსკის, ა. ტარკოვსკის, ბ. პასტერნაკს, ა. ჩაჩიკოვს.

ერთტომეულში მოთავსებულია აგრეთვე პოემები—„თორნიკე ერისთავი“ (ს. სპასკის თარგმანი), „ნათელა“ და „აღმზრდელი“ (ბ. ბრიკის თარგმანი) და დრამატიული პოემა „თამარ ცბიერი“ (ა. კოჩეტკოვის თარგმანი).

წიგნს დართული აქვს შ. დადიანის წინასიტყვაობა და ლ. ასათიანის მიერ დაწერილი ნარკვევი აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი გამოსულია ვ. გოლცევისა და ს. ჩიქოვანის რედაქციით.

წიგნს დართული აქვს აკაკის მხატვრულად შესრულებული პორტრეტი, აგრეთვე აკაკის საყვარელი მწერლის—ტ. შევჩენკოს და პოეტის მეგობრის, სომეხ დრამატურგის გ. სუნდუკიანის პორტრეტი.

დელეგაციამ თან ჩამოიტანა აგრეთვე აკაკის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც რუსულ ენაზე თარგმნა ე. ღოღობერიძემ.

(საქდესი).

აკაკი წერეთლის ნაწარმოებნი ყირგიზულ ენაზე

ყირგიზეთის საბჭოთა მწერლების კავშირმა აცნობა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს, რომ პოეტმა სიდიბეგომმა ყირგიზულ ენაზე სთარგმნა აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“. მწერალმა ხშუბაევმა გადასთარგმნა აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“. ყირგიზულ ენაზე გადაითარგმნა აკაკის ლექსები, სულ 2.000 სტრიქონი.

ივნისის დამლევს გამოვა ჟურნალ „ყირგიზეთის ლიტერატურის და ხელოვნების“ მორიგი ნომერი, რომელიც მიეძღვნება აკაკი წერეთლის იუბილეს. (საქდესი).

გიორგი ლეონიძე

აკაკის

შენ მოგვიზომე სამშობლო
შენი ჩონგურის სიმებით;
შენ გვიანდერძე სამშობლო
და მისი დახსნის იმედი.

გული გაცვითე სიმღერით
და ლექსი — ქართლის დიდებით;
ბნელს გვილამპრავდი ქაღარით
და ცრემლის მარგალიტებით.

მომავლის მზესთან ადიდე
მიწაში მყოფი გმირები, —
მათი აკლდამის ნათელი,
მათი საფლავის დირენი.

დღე-ღამის სიგრძე-სიმოკლემ
გზა გასჭრა — სავსე ეკლითა
დღეს შენთა შვილთა ჩანგებზე,
მზის სხივი გამოგვეკიდა.

გვახარებს, — ქართლი ვინც აგო
ახალი დასაბამითა,
ქართლის ნიავით გაზდილა,
და ქართლის წყაროს ნამითა.

შენც ჩვენთანა ხარ, ზეზე ხარ,
გსურს, რომ ახალ მზეს უყურო
დიდი მთაწმინდის სიწმინდევ,
გადაღმერთილო, უღრუბლოვ, —
დანაცრებულო, დამწვარო,
დაბერებულო ბულბულო!

---

*) ლექსი წარმოთქმული მთაწმინდაზე, აკაკის საფლავზე გამართულ მიტინგზე, 22 ივნისს.

ნ. მარის ლექსები აკაკი წერეთლის შესახებ

აკადემიკოსი ნიკო მარი (1864 — 1934 წ. წ.) ჭაბუკობის წლებში ლექსებს სწერდა. ჩვენამდე შემონახულია მისი ორიგინალური ლექსები, პოემები და თარგმანები სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა შესანიშნავი ნაწერებისა.

ნიკო მარის ხელნაწერების მდიდარ არქივში, რომელიც მოთავსებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში (ლენინგრადი), ინახება ათეული ლექსები. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სახელოვან ქართველ მგოსანს აკაკი წერეთელს შეეხება.

ერთი ასეთია მარის ლექსი სათაურით „აკაკისადმი“, დაწერილი აკაკის ლექსის „გაზაფხულის“ („დღეს მერცხალი შემოფრინდა“) საპასუხოდ.

17 წლის ნიკო მარს, წაუკითხავს თუ არა აკაკის ხსენებული ლექსი, მაშინვე დაუწერია პასუხი, რომელიც მეორე დღესვე — 1881 წლის 5 მარტს — გამოქვეყნდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა ჟურნალ „ბედში“ (№ 12, 1881 წ. 5 მარტი, გვ. 59-60). მასში ნიკო მარი ამბობს:

„მარტო ლექსით როგორ შევძლებთ
ჩვენ წალკოტის აყვავებას“...

და მოუწოდებს მკითხველთ იარაღით ხელში ბრძოლისაკენ:

„ძილს მოვშორდეთ, ახლა დრო გვაქვს
და შევამკოთ მარდათ ბაღი,
ფიქრით ყნოსვას ნუ ვიმყოფებთ,
ხელთ ავიღოთ იარაღი“.

ნიკო მარის ეს ლექსი მეორედ 1933 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა.

ნიკო მარის ლექსებს შორის არის ისეთი ლექსიც, რომელიც მას, 16 წლის ჭაბუკს, მიუძღვნია შესანიშნავი ქართველი მწერლებისადმი — ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავისადმი. ლექსი პირველად მოთავსებული იყო 1880 წლის 24 ოქტომბრის ხსენებულ ჟურნალ „ბედის“ № 2-ში. ამ ლექსში, რომლისთვისაც ავტორს „სიმღერა“ უწოდებია, დიდი ადგილი აქვს დათმობილი აკაკი წერეთელს. ის მეტად ორიგინალურად არის დახასიათებული.

აი, ეს ლექსიც.

სიმღერა

(საზანდრის ხმაზე)

ვისაც კი უყვარს მამული
და ხელთ იღო ლექსთა ბუკი,
თან გაუყოთ სიყვარული
ბერი იყოს თუნდ ჭაბუკი.
აბა, ვაქოთ ჯერ ილია,
მემუსიკე მისი ენა —
დიახ, უცხო რამ ხილია
პოეტური მიმოფრენა!
ხან გალექსა წყნარი მთვარე,
მზე, მთაბარი და ვარსკვლავი,
ბატონყმობა მასთან მწარე,
და საშინი ყოვლად ავნი.
სევდიანი ბაირონი
და შილერი შთაიბერა,
გამოხატა ძველი დრონი
შექმნა ნაზი ჩანგის ჟღერა.
დღეგრძელობის გარდა გვედრი
დიდებულ ღმერთს საზანდარი,
აღასრულო შენი ხვედრი,
გააცოცხლო დედა მკვდარი.

* * *

ახლა ქებულს ვახლოთ ხელი
გვიტკბობს მღერით ვინც ნაზად გულს:
ძმაო, შენგან მხოლოდ ველი,
რომ ააწყობ ქართველთ ფანდურს.
ნაქები ხარ, ძმავ, აკაკი!
გაქვს გათლილი ლექსთ ისარი —
გიყვარს მღერა და არაკი,
მიუხვდენი კი მტრის არი.
მამულს უმღერ, ხარ სასმენი,
ენა ფეხსაც გააკვირვებს,
გსურს ფრთა ახსნა — ვერ ახსენი
და ჯაჭვებიც ვერ გატირებს.
მტრისებრ სძულობ შენ მოყვარეს,
ვისაც კი სურს ძმა დაფაროს,
და სამშობლო ტურფა მხარეს
დღე კეთილი არ ანახოს.
ბედნიერი იყავ მარად
მოგანიჭოს ღმერთმა ღონე:
მტერს ადინე სისხლი ღვარად —
თამრის დრონი მომაგონე!

* * *

ერისთავი მით გვაკვირვებს,
რომ მშვენთ ლექსავს წვრილ არაკებს,
სასაცილო მართალ პირებს
სცენაზე ალაპარაკებს.
შენც ამაღლდი რაფაელო
დაგვიმშვენე ქართველთ გვერდი!
გმართებს მზეებრ ან ჩაელვო
თუმც კი ცოტა დაგვიბერდი...

იოსებ მეგრელიძე



აკაკი წერეთელი სოფ. ყვარელში.
მხატვ. ნ. რონიშვილის ნახატი.

ი. გრიშაშვილი

ნათელა

განა ჩვენ კი წინ არ გვიდგას იმ ნათელას წმინდა სახე,
ან ის ჩოხა, ან ის ცოტნე, ან ის ციხე „მოდი ნახე“?

ნათელები ჩვენც ბევრი გვყავს პირბაკმიან ზენარები,
ფუტკარივით თაფლის მჩენნი, ფუტკარივით მკბენარები —

ტკბილნი: როცა შვილებს ზრდიან, ბაგე მათი იმუშკრება,
და მსუსხავნი: როცა მტერი არ გვასვენებს, იმუქრება.

მაგრამ ერთი ნათელა გვყავს—იმ ნათელას შნო და თვალი,
ის ბელადის ასულია, მომავალი გმირი ქალი.

მწამს, თუ ასტყდა ომი მწვავე, თუ შემოძვრა ჩვენთან გველი,
მას მახვილი მზად ექნება უდრეკი და უჟანგველი.

ის არავის არ დაუთმობს ჩვენს სამშობლოს—წმინდა კერას,
ის აკაკის ნაქებ ჩოხას ახალ გმირებს შეუკერავს.

ეტყვის: „თუ გსურს შენი ვიყო, გმირთა-გმირო, სულის სწორო,
მოლუნული ხმალი შენი უნდა ომში გაასწორო!“

და ცალ ხელში შიშველ ხანჯლით, და ცალ ხელში ჩონგურითა,
ქართულ ჩოხას ჩამოაგდებს კრემლის კოშკის ქონგურიდან.

ნეტარება ამგვარ ქალებს, ვინც სამშობლოს მტკიცედ იცავს,
ნეტარება იმ გმირ ვაჟკაცს, ვინც ამ ჩოხას გადაიცვამს.

1940 წ., 22 ივნისი.

---

*) წაკითხული აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო სხდომაზე ოპერის თეატრში, 22 ივნისს.

გაფურ-გულიამი

უზბეკეთის სსრ ორდენოსანი პოეტი

გვირგვინი

ეს ორი სიტყვა მე მუდამ მზარავს,
სიტყვა—სიკვდილი და მწუხარება.
მჯერა—ჩვენ დავსძლევთ ბუნების ძალას:
აღარ იქნება არც სიკვდილი,
არც მწუხარება.

ეს მაღალი მთა ის ადგილია,
სად განისვენებს ვაზირ მუხტარი,
ვაზირ ნატანჯი მაღალ გონებით,
შუბლგანგმირული დიდი ილია
და საქართველოს ტკბილი მგოსნები.

აქ განისვენებს დედა
დიდი ადამიანის,
ვისი სახელიც არის სითბო და ურაგანი,
ბელადის დედა — სიხარულის დედა მზიანი
და ყველა დედის
ნატვრის საგანი.

აჰა თბილისი
ყარამანთა გამზრდელი ბუდე,
ლაჟვარდი, სადაც არწივები სწავლობდენ ნავარდს,
სიცოცხლის სუნთქვა ვხედავ არბევს
სიკვდილის ხუნდებს.
და უკვდავების წინაშე ვდგავარ.
თქვენ მიდიოდით
ანთებული ლამპრებით ხელში,
დღეს დავინახეთ
თქვენი ბრძოლის მიზანი დიდი.
მტერი დამარცხდა,
მიიმალა სოროში, ხვრელში
და, სულს კი არა,
საფლავის ლოდსაც ვერ სწვდება იგი.
გვტანჯავდა ღმერთი, ემირები, მეფე ულირსი
ვერ აიტანდნენ თვით ღმერთები
ესოდენ ტანჯვას.
წისქვილის დოლაბს ვეწეოდით საკუთარ კისრით,
ხოლო ხორბალი მიითვისა მსუნაგმა ჩარჩმა.
გახსოვთ ეს ლუკმა საცოდავი
და გემო მისი?!

...აი გვირგვინი მოტანილი უზბეკეთიდან
ჩემი სალამი აკინძული ლექსად კეთილად.

და ამ გვირგვინის ყვავილები ნაირ-ნაირი
გმირთა გმირების საფლავებზე დაგვიკრეფია.
მახთუმკულია, ულუღბეკი,
ნიზამ, ნავოი
და ავისენა წერეთლის ღვიძლი ძმებია.
ამ მოშაირეთ, მეცნიერებს მაღალი აზრით
უყვარდათ ხალხი,
სამშობლოსათვის სიკვდილი ჰშვენით.
დარჩეს უჭკნობლად,
მარადისად გვირგვინი ნაზი,
როგორც უჭკნობი
და უკვდავი სამშობლო ჩვენი.
საქართველოში მოვიტანეთ
ჩვენ ეს გვირგვინი,
გამოვიარეთ
გურგენის ზღვა და ყარაყუმი,
ამუ-დარია, სირ-დარია
დიდი ფერგანი,
სადაც ჯერ კიდევ ანგრევს კლდეებს
ჩვენი ლაღუმი.
და სამუდამოდ, სანახსოვროდ
გვირგვინი დარჩეს,
როგორც უკვდავი, მარადისი
სტალინის საქმე.

მთარგმნელი მიქელ პატარიძე.

---

*) ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა მწერალთა პანთეონში აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ მიტინგზე და გვირგვინით შემკო დიდი მგოსნის საფლავი.

მარგო თომაძე

ბელადი ბავშვთა შემოქმედებაში

„იზარდე, ნერგო, გამაგრდი,
სტალინის ხელმა გახარა,
ნერგო, შენ დაგრგო ბელადმა,
მზე პირზე გადაგაყარა“.

გ. ლეონიძე.

ჩვენს ქვეყანაში მრავალი ლექსია ბავშვთა მიერ მიძღვნილი დიდი ბელადისადმი. პირველი პოეტური თქმა, პირველი განცდილი სიხარული, ნორჩი შემოქმედის პირველი სტრიქონები, ნაზი და მთრთოლვარე რიტმი, მიძღვნილია მისდამი, ვინც შეუქმნა ჩვენს ბავშვებს ბედნიერი და სამური ცხოვრება, ვინც ეს ქვეყანა მარადიულ გაზაფხულად აქცია, სიცოცხლე — სიხარულად, ახალგაზრდობა — დაუჭკნობელ ყვავილად.

„ვინც სამშობლო ააშენა,
დედამიწის მეექვსედი,
ვარდით მორთო, დაამშვენა,
ვინაც მოსპო ერთა შორის
სისხლი, ცრემლი, მტრობა, შური
და ცხოვრება მოგვანიჭა
ბედნიერი, სამური“.
(ქ. ცხაკაიას საშუალო სკოლის მოსწ. ტოგო გაბედავას ლექსიდან).

ნორჩი თაობის ყოველი ლექსის სტრიქონებში სიხარული და ოპტიმიზმია, სტალინი და დღევანდელი დღეა. კითხულობ ნორჩი კალმოსნების ლექსებს და ბევრ მათგანს ეტყობა ჯერ უწრთვნელი პოეტური ხელი, სუსტი პოეტური ხერხები, მაგრამ არცერთ მათგანში არ შეგხვდებათ რაიმე უკმაყოფილება, ან ოდნავი საყვედური ცხოვრებისადმი, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის ნორჩი პოეტებისათვის. აიღეთ რომელიმე კლასიკოსის ბავშვობის პერიოდის ლექსები. თქვენ ნახავთ მასში გულისტკივილს, ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეულ გმინვას. თავის პირველ ლექსში დიდი მგოსანი ილია ჭავჭავაძე ასე მიმართავს ყვარლის მთებს: „რომ ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ—წინ ვღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს“. და ცრემლთა ეს ნაკადული სდიოდა ძველი თაობის ყველა ნორჩ მგოსანს. ყრმა პუშკინიც ღვრიდა ცრემლებს მშობლიურ კერაზე, ენაჭარტალა მასწავლებლის, გულცივი დედის და ძუნწი მამის გარემოცვაში. ამიტომ იყო, რომ მოთმინებიდან გამოსულმა ნორჩმა მგოსანმა თავისი პირველი ნაწარმოები ღუმელს შეუკეთა! მდგომარეობა არც სასწავლებლებში იყო უკეთესი. ბიუროკრატიული რუსეთის მარწუხები ყველგან ხუთავდა პოეტურ სულს. უკმაყოფილება, ტკივილები, ცრემლები და 15 წლის პუშკინის ენით რომ ვთქვათ: „გაბზარული, ნატკენი გული“, აი გასული საუკუნის დამწყები პოეტების განწყობა, რომელიც მათი ცხოვრების დასასრულამდე ასეთივე რჩებოდა. ბავშვის ნიჭის გამოვლინებისათვის ყველგან კარი დახშული იყო თვით მაღალ საზოგადოებრივ ფენებში. საზოგადოების დაბალ ფენებში ბავშვთა შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნისათვის ზრუნვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რამდენი ენერგია და ბრძოლა იყო საჭირო, რომ ტალანტს ასეთ სულისშემხუთავ საზოგადოებრივ პირობებში გადაელახა ყოველგვარი დაბრკოლება და გაეკაფა საკუთარი შემოქმედებითი გზა! ვინ იცის, რამდენი ნიჭი ჩაიფერფლა ასე უყურადღებოდ და უპატრონოდ.

ჩვენს დიად ქვეყანაში ბავშვებისათვის ფრიადზე სწავლისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, კულტურული, გონივრული დასვენებისათვის და მათი შემოქმედებითი ნიჭისა და ენერგიის ყოველმხრივ გაშლისა და გაფურჩქვნისათვის საუცხოო პირობები არის შექმნილი. მათზე ზრუნავს საბჭოთა მთავრობა და თვით დიდი **სტალინი** — ბავშვების დიდი მეგობარი, მასწავლებელი და მოამაგე. ბავშვები ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ ამ დიდ მზრუნველობას მათ მიმართ და უპასუხებენ მას გმირობით, სიმამაცით, ფრიადზე სწავლით, სამშობლოსა და დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულით.

თბილისის მე-37 საშუალო სკოლის მოსწავლე ვახტანგ მარტიროსოვი მშვენივრად ასახავს თავის ტოლების განწყობას ლექსში — „პიონერის სიმღერა“:

„თვალებგაბრწყინვებული
მხიარული ბავშვები
მზის სხივებს და ვარსკვლავებს
გულით ვეთამაშებით.
ჩვენ გმირებად ვიზრდებით
დიდ სტალინის მხარეში,
ჩვენთვის ზრუნავს ბელადი,
გვატკბობს მისი ალერსი“.

ასეთივე გულთბილი მადლობით მიმართავს დიდ ბელადს ცხაკაიას საშუალო სკოლის მოსწავლე კოჩოგა არსია:

„ისე როგორც გაზაფხულის
მზის სხივები ატკბობს ყვავილს,
სტალინ, შენი მზრუნველობით
მუდამ ვხარობთ, მუდამ ვყვავით.
ეს ცხოვრება ბედნიერი
შენ მოგვეცი, მოგვანიჭე,
გვაფოლადებს შენი ძალა
გახარებულ გოგო-ბიჭებს.
შენ ხარ ჩვენი სიხარული,
სიცოცხლე და ნატვრის თვალი,
იხარე და იდღეგრძელე,
საყვარელო ძია სტალინ“.

თბილისის მე-18 სკოლის მე-4 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე მედეა კანდელაკი, ბელადის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებისადმი მიძღვნილ ლექსში „ჩემი საჩუქარი“ ასე მიმართავს დიდ სტალინს:

„დღეს შესრულდა სამოცი წელი,
ძიავ სტალინო, ტკბილო იმედო,
ჩემს პატარა გულს რა აქვს ისეთი,
რომ შენს საჩუქრად არ გაიმეტოს.
ჩემი სამშობლო აყვავებული
რარიგ სიამით მიხარებს თვალს,
ბედნიერებით მევსება გული,
მეც გადაგიხდი ამაგს და ვალსა“.

ბავშვური გულწრფელობით დაწერილი თბილი სტრიქონები გულში ჩამწვდომი სინაზითა და მზრუნველობით ეალერსებიან შორიდან კაცობრიობის უდიდეს ადამიანს, ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს. ნორჩი პოეტები თავიანთ ლექსებში უამბობენ ბელადს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მიღწევების, გმირების, სტახანოველების, მფრინავების, ფხიზელი მესაზღვრეების შესახებ, არამედ თავისი სწავლების, გართობის, დასვენებისა და თითქმის ყოველი მათი მნიშვნელოვანი თავგადასავლის შესახებაც. უამბობენ, თუ როგორ ბედნიერად და თავისუფლად გრძნობენ თავს ჩვენი ბავშვები საბჭოთა სამშობლოში, ოჯახში, სკოლაში, საბავშვო დაწესებულებებში და როგორ არიან ისინი გარემოცულნი პარტიის, ხელისუფლების და საბჭოთა საზოგადოებრიობის მზრუნველი სიყვარულითა და ყურადღებით.

ერთერთ სკოლაში წერითი დავალებაზე, თუ „რისთვის გვიყვარს ჩვენ ჩვენი სამშობლო“ — პიონერი გოგონა სწერდა: „ჩვენი სამშობლო ყველაზე უკეთესია და ჩვენ იგი მთლიანად გვიყვარს, მაგრამ ყველაზედ უფრო გვიყვარს ამხანაგი **სტალინი**. იგი მთელ სამშობლოში ყველაზე უკეთესი და ძვირფასია“.

არა მარტო ამ წერითი დავალებაში, არამედ ბავშვთა მთელ შემოქმედებაში **სტალინს** და სამშობლოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. **სტალინი** და სამშობლო — ორივე განუსაზღვრელად ძვირფასია, ორივე უზომოდ საყვარელია. „ამ ბედნიერ ქვეყანაზე გულმა გული მონახა, შენ ცხოვრებას ალამაზებ, საქმით ქვეყნის ტოლა ხარ“, — ასე მსჯელობენ თავის ლექსებში ჩვენი ნორჩი მგოსნები. ამიტომ არის, რომ რაც ქვეყნად უდიდესია, უძვირფასესია, ულამაზესია, უძლეველია, რაც არასოდეს არ ჰკარგავს თავის ძლიერებას, ელფერს, მარად ბრწყინავს და ელვარებს, მხოლოდ ასეთ მნათობებს, ბუნების ასეთ ძალებს ახსენებენ ბელადის სახელთან დაკავშირებით და ადარებენ მათ ბელადს:

„არ ჩაქრება მზე კაშკაშა,
ლურჯ ცის თაღზე რომ კიაფობს,
არ შედრკება წუთით გმირი,
მხრებით გრიგალს რომ მიაპობს.
მან იხაროს, მან იმხნეოს,
ვინც რომ ხალხებს მოგვცა შვება,
ვინც მტრავალი ვაჟკაცურად
შემუსრა და გადათელა“.

ასე უმღერის თბილისის მე-30 სკოლის მოსწავლე გიორგი უკლება თავის ლექსში დიდ ბელადს.

დამწყები პოეტი გივი ჯინჭველეიშვილი, როცა იგი ჯერ კიდევ პიონერის ყელსახვევით იჯდა სასწავლო მერხზე, მთელ რიგ ლექსებს უძღვნიდა ამხანაგ **სტალინს**. ერთერთ ლექსში იგი მიმართავს ბელადს:

„ბრძენი ხარ ტოლუპოვარი,
მასების მხსნელად შობილი,
რკინა უღლოდ ნაჭედი,
ფოლადად გამოწრთობილი.
შენ დაგვიმშვენე ცხოვრება,
ჩვენ შენი შუქი გვფენია,
მხიარული ყოფის შემქმნელო,
სტალინ, მშრომელთა გენიავ“.

ბარაქიანია, მხიარულია სტალინის ნამაგარი ქვეყანა:

„ხარობს ბუნება, მთა-ველი,
სტალინურ შუქით გამთბარი.
ბრწყინავს ქვეყანა ლამაზი,
სტალინის ნაამაგარი“.

სწერს ქუთაისელი მოსწავლე. სწერს და გულით მღერის: „და სიმღერის ყველა ჰანგი შენ გეკუთვნის, დიდო სტალინ“, შენ, რომელიც

„დგეხარ მარად ანთებული
გმირი შეულახველი,
ამ ბედნიერ საუკუნის
ჰქვიან შენი სახელი“.

პიონერი გოგონა აზო გოქაძე დარწმუნებულია, რომ ბელადს ყოველდღიურად უმღერიან „თვალუწვდენელი მაღალი მთები და მობიბინე ფართო ველები“, „ქაფმორეული მდინარეები, ზღვის სივრცეები დაუშრობელი“. და თვით „ჩანჩქერების კლდიდან დინება“, სწერს ვაჟიკა ფხოველი,

„ორბი მაღალ მთების შვილი,
ეს სამშობლო მრავალ ერთა,
სტალინ, ბრძენს და ხალხთა მამას,
შენ გიმღერის ყველა ერთად“.

ბუნების მომჯადოვებელი სილამაზე, „კეკლუცი გაზაფხულის თავბრუდამხვევი სურნელება“, „ღამის ცვარით პირნაბანი, შევერცხლილი მწვანე მთები“, „განთიადზე მზის ღიმილი“ და ყოველი, ბუნების გრძნეული ფუნჯით დახატული გაშლილი სურათები იმიტომ იგრძნობა ასე ახლოს, ასე საყვარლად, რომ ამ ქვეყნად მშობლიური სტალინი ყველაფერს ელფერს აძლევს, მიმზიდველს ხდის, რომელიც „სჭედავს ცხოვრებას დიადს“. და აი გაზაფხულია, ვარდიც მოსულა, იაც. უყვართ ბავშვებს გაზაფხულის პირველი ყვავილები, მაგრამ აბა რომელი ვარდი, რომელი ია შეედრება ბელადის სურათს:

„იის და ვარდის მაგივრად
მკერდზე ბელადი გვიღიმის“.

სწერს ოქტომბრელი ჩომახიშვილი, და შეხარის მკერდზე მომღიმარ ბელადის სურათს. და არა მარტო სურათს, ბავშვები უმღერენ იმ სახლს, იმ აკვანს, სადაც დაიბადა და აღიზარდა ბელადი.

„ნეტავ იმ დედას,
ვინც რომ აკვანი შენი არწია,
ვინც გამოგზარდა
ლომგულ ვაჟკაცად ჩვილი პაწია“.

სწერს მეთხე კლასის მოსწავლე გურამ ასათიანი, აქედან იწყებენ ბავშვები წერას ბელადის შესახებ და მათი ნათელი აზრები, მიჰყვებიან რა მისი ცხოვრების გზას, მიემართებიან მოსკოვისაკენ, კრემლისაკენ, სადაც ცხოვრობს და მუშაობს ამხანაგი **სტალინი**, რომელთანაც შეხვედრა და ნახვა ჩვენს ბავშვებს ოცნებად აქვთ გადაქცეული.

ნორჩი პოეტები კარგად ხედავენ, რომ სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ საბჭოთა ბავშვები სამშობლოს ძვირფას ყვავილებად იფურჩქნებიან, იზრდებიან, ვაჟკაცდებიან. მათ კარგად ესმით სტალინური კონსტიტუციის ძალა, შინაარსი, მნიშვნელობა. ისინი მრავლად უძღვნიან ლექსებს „მზიან სამშობლოს დიად ქარტიას“, რომელიც:

„მუდამ იქნება როგორც ახალი,
დაუჭკნობელი წლიდან წლობამდე,
საუკუნეში შეინახავენ
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე“.

მე-5 კლასის მოსწავლე რეზო თაბუკაშვილი მშვენივრად განმარტავს თავის ლექსში კონსტიტუციის ერთერთ მუხლს:

„სტალინმა მისცა მშრომელ ხალხს,
ნამდვილი თავისუფლება,
ვინც არ მუშაობს, ის ვერც ჭამს,
ყველას აქვს შრომის უფლება“.

ასე ღრმად ესმით ჩვენს ბავშვებს სტალინური კონსტიტუციის აზრი და მის მტკიცე საფუძველზე იზრდებიან ისინი.

ბელადს ფხიზელი და მზრუნველი თვალი აქვს. იგი გაჭირვების დროს შენთან არის, გშველის, რჩევას გაძლევს, გეხმარება. ასეთი აზრი აქვს გატარებული თავის ლექსში თბილისის მეხუთე სკოლის მოსწავლეს მაყვალა კახიანს. — იგი მიმართავს ბელადს:

„როცა ტაიგას ცივს, ჭაობიანს
შეება სამი მამაცი ქალი,
მათ შორეული კრემლის კედლიდან
სწვდებოდა შენი მზრუნველი თვალი.
პაპანინისთვის პოლარულ ზღვაში,
როცა გრიგალი ბურუსში ხვევდა,
შენი სახელი კომპასი იყო,
შენი აზრები გზას უნათებდა.
პოჟარსკის როცა ხასანის ტბასთან
გვერდს უმშვენებდა მებრძოლთა რიგი,
„წინ, სამშობლოსთვის! წინ,
სტალინისთვის!“ —
ღონემიხდამდე იძახდა იგი“.

ასე უნერგავს მხნეობას, გამბედაობას, სიმტკიცეს, ერთგულებას დიდი ბელადი ყველას. ასე უდგამს იგი გმირულ სულს საბჭოთა ადამიანებს. ასეთი ყოველდღიური ყურადღებისათვის, მზრუნველობისათვის, სითბოსათვის არის, რომ მას გვერდით ფხიზლად უდგანან მილიონები, რომ მის დიდ საქმეს — კომუნიზმის დიდ საქმეს — საკუთარი მკერდით იცავენ. და ეს სასახელო საქმე, — სამშობლოს დაცვის გრძნობა, ჩვენს ბავშვებს ისე აქვთ შეზრდილი, ისეთივე აუცილებელ მოთხოვნილებად აქვთ გადაქცეული, როგორც ჰაერი, წყალი, პური. ისინი ოცნებობენ, თუ როდის გაიზრდებიან, როდის მოვა მათი ჯერი, რომ მოიხადონ სამშობლოს წინაშე საპატიო მოვალეობა. ნორჩი მგოსნები, თავიანთ ლექსებში გამოხატავენ რა საბჭოთა ბავშვების განწყობას, ფიცს აძლევენ ამხანაგ **სტალინს**, რომ საკუთარი მკერდით დაიცავენ თავის ლამაზ სამშობლოს და არცერთ მტკაველ მიწას არ დაუთმობენ მტერს.

„როს გავიზრდებით, მაშინ ჩვენ
სამშობლოს სადარაჯოზე
გმირობით და ვაჟკაცობით
ერთიმეორეს ვაჯობებთ“ —

სწერს პიონერი გოგონა მედეა კანდელაკი. მესამეკლასელი ფრიადოსანი მოსწავლე ლონდა იოთამიშვილი ასე მიმართავს ბელადს თავის ლექსში:

„თუ საბრძოლველად წამოვლენ,
არ გვეშინია მტრისათა,
დავხვდებით ჩვენსა საზღვარზე,
როგორც ქვა სალი კლდისათა“.

— მართალია, ჩვენ პატარები ვართ, ჯერ სკოლაში დავდივართ და ვსწავლობთ — სწერს ბელადს თავის ლექსში ახალქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლე გრიგოლ ვართევანიანი, მაგრამ თუ მტერი რამეს გაბედავს:

„ჩვენი დღეების ბრწყინვალებას,
თავსაც შევწირავთ,
და კალამს შევცვლით ბასრი ხმალით,
მტრის გასამარად“.

თავის განწირვა, ერთგულება სამშობლოსადმი, ბელადისადმი — ასეთი არის განწყობა არა მარტო საბჭოთა ბავშვების, არამედ მთელი მშრომელი მასების. ეს აზრი მშვენივრად აქვს მოცემული თავის ლექსში მაყვალა კახიანს. იგი მიმართავს ბელადს:

„ძვირფასო სტალინ! გავიმეორებ
მილიონების ფიქრთა დინებას,
დე, ეს მარჯვენა გახმეს, გაქვავდეს,
თუ შენს საქმეს არ შეეწირება“.

ასე მხურვალედ უყვართ ნორჩ პატრიოტებს თავისი სოციალისტური სამშობლო და დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი**. ისინი იზრდებიან დიადი საბჭოთა ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად. მათი მაღალი იდეალები, მისწრაფებები და სურვილები მიმართული არიან სამშობლოს კეთილდღეობისაკენ და წრფელი გულით ნატრობენ „ყველა ქვეყნის სტალინურ მზით განათებას“.

◆

ომი დასავლეთ ევროპაში

22 ივნისის საომარი მოქმედების დღიური

საფრანგეთის ბრძოლა გრძელდება. მთლიანად საფრანგეთის ჯარი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში წინააღმდეგობას უწევს გერმანიის ჯარის ნაწილებს. გუშინდელი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა წინანდებურად ლორენსა და ვოგეზებში. საფრანგეთის ჯარის იმ ნაწილების მდგომარეობა, რომლებიც აქ იბრძვიან, განსაკუთრებით მძიმეა. ისინი არა მარტო გარემოცვის პირობებში იბრძვიან, არამედ, გერმანიის ცნობების თანახმად, გათიშული არიან ცალკეულ იზოლირებულ რაზმებად. გერმანიისა და საფრანგეთის ჯარების ნაწილებს შორის შეტაკება აგრეთვე მოხდა ლიონის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით და მდინარე ლუარის ქვედა წელის რაიონში, სადაც გერმანელებმა დაიკავეს ხიდისწინა რამდენიმე სიმაგრე.

ბრეტანში გერმანიის ჯარის მოძრავი ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას ატლანტიკის ოკეანის სანაპიროსაკენ და დაიკავეს სენ-მალოსა და ლორიანის მნიშვნელოვანი ნავსადგურები. იტალია - საფრანგეთის საზღვარზე ჯარის ნაწილების შეტაკება არ გასცილებია ადგილობრივი მნიშვნელობის შეტაკების ფარგლებს. საფრანგეთის ჯარის ცალკეული ჯგუფების მედგარ წინააღმდეგობას არ ძალუძს რისიმე შეცვლა, ვინაიდან საფრანგეთში ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილია.

ინგლისსა და გერმანიას შორის საომარი მოქმედება ძირითადად ჯერჯერობით ჰაერსა და ზღვაში ხდება. უკანასკნელ დღეებში ინგლისის ავიაციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი მოქმედება. მისი იერიშების ობიექტები გახდნენ გერმანიის აეროდრომები საფრანგეთის, ჰოლანდიის და თვით გერმანიის ტერიტორიაზე, აგრეთვე სამხედრო საწყობები და ობიექტები.

ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ბერლინს.

გერმანიის საჰაერო ძალები თავს დაესხნენ ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო ქარხნებსა და ობიექტებს. აქტიურად მოქმედებდნენ გერმანიის წყალქვეშა ნავები, რომლებმაც იერიში მიიტანეს ინგლისის ცალკეულ გემებზე.

აფრიკაში ბრძოლა არ გასცილებია სანაპირო შეტაკების ფარგლებს. შედარებით სერიოზული ბრძოლა გაიმართა ინგლისისა და იტალიის ჯარებს შორის ერიტრეის საზღვარზე.

აფრიკაში ორივე მეომარი მხარის ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას მოწინააღმდეგის აეროდრომებზე, რკინიგზის სადგურებსა და სამრეწველო საწარმოებზე.

ბერლინის ბომბარდირება

ბერლინი, 22 ივნისი (საკდესი). დღეს გაზეთები კვლავ იუწყებიან, რომ ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ გერმანიის ქალაქებს. ცნობებში აღნიშნულია, რომ ყუმბარები დაუშინეს მაინის ფრანკფურტს, დიუსელდორფს, ჰამბურგსა და გერმანიის ბევრ სხვა ქალაქს. გუშინ ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს ბერლინს, რაც მთელი ომის განმავლობაში პირველი შემთხვევაა. ღამის 2 საათზე სირენების ხანგრძლივმა ხმაურმა გამოაღვიძა ქალაქის მცხოვრებნი. გაისმა ყუმბარების აფეთქებისა და საზენიტო არტილერიის სროლის ხმა. ინგლისის თვითმფრინავებმა ბერლინის დასავლეთ გარეუბანში ჩამოჰყარეს რამდენიმე ცეცხლწამკიდი და მსხვრევადი ყუმბარა. ცნობების თანახმად, სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა. არის მსხვერპლი. 30 წუთის შემდეგ საჰაერო განგაში შესწყდა.

გერმანიის გაზეთები ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ საფრანგეთში

ბერლინი, 22 ივნისი (საკდესი). „ფელკიშერ ბეობახტერი" იუწყება: „საფრანგეთის სამხრეთ ნაწილსა და ბორდოსა და ტულუზის რაიონში თავმოყრილ ლტოლვილთა მდგომარეობა კატასტროფულია. ქალაქებისა და სოფლების ქუჩები, გზები ლტოლვილებით არის სავსე. ისინი დამშეული არიან".

როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს, საფრანგეთის ლტოლვილთა ნაწილი მიემართება ესპანეთში, რომლის საზღვარი ჯერჯერობით დახურული არ არის. ბელგიელ და ფრანგ ლტოლვილთა მასები ჩადიან ესპანეთის ქალაქებში და, კერძოდ, მადრიდში. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ ფრანგი ლტოლვილები ამწვავებენ ესპანეთის ისედაც მძიმე სასურსათო მდგომარეობას.

გერმანიასა და საფრანგეთს შორის დროებითი ზავის შესახებ დადებული შეთანხმების ხელმოწერა

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 22 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგ ცნობას: „22 ივნისს, 18 საათსა და 50 წუთზე, გერმანიის საზაფხულო დროით კომპიენის ტყეში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება გერმანიასა და საფრანგეთს შორის დროებითი ზავის შესახებ. შეთანხმებას გერმანიის მხრიდან ხელი მოაწერა, როგორც ჰიტლერის რწმუნებულმა, გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა კეიტელმა, საფრანგეთის მხრიდან,—როგორც მთავრობის რწმუნებულმა — გენერალ ჰიუნტციგერმა. მაგრამ საომარი მოქმედება ამით ჯერ კიდევ არ სწყდება. იგი შესწყდება მხოლოდ ექვსი საათის შემდეგ იმ დროიდან, რაც იტალიის მთავრობა გერმანიის უმაღლეს სარდლობას აცნობებს, რომ იტალიასა და საფრანგეთს შორის დადებულია დროებითი ზავი. შეთანხმების შინაარსის გამოქვეყნება ჯერ კიდევ არ შეიძლება".

ეგვიპტის მთავრობის გადადგომა

ნიუ-იორკი, 22 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გადადგა ალი მაჰერ ფაშის კაბინეტი.

საფრანგეთის არმიების კაპიტულაცია ელზას-ლორენში

ბერლინი, 22 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „ელზას-ლორენში გარშემორტყმულმა საფრანგეთის არმიებმა გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ, იარაღი დაჰყარეს. ამგვარად, საფრანგეთის დაახლოებით ნახევარი მილიონი ჯარისკაცი ჩვენს ხელში გადმოვიდა. საფრანგეთის ჯარის მრავალ სხვა გენერლებს შორის არიან მესამე, მეხუთე და მერვე არმიების მთავარსარდლები. ჯერ კიდევ წინააღმდეგობას გვიწევენ მაჟინოს ხაზის მხოლოდ ცალკეული წერტები ქვემო ელზასსა და ლორენში, აგრეთვე ვოგეზებში".

გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ინგლისს

ლონდონი, 22 ივნისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ წუხელ აღმოსავლეთ ინგლისის მთელ რიგ რაიონებში საჰაერო განგაში გამოცხადდა, რაც დილის 2 საათამდე გაგრძელდა. გერმანიის თვითმფრინავები, რომლებზედაც იერიში მიიტანეს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა, იძულებული გახდნენ ალალბედზე ჩამოეყარათ ყუმბარები. ერთი ფუგასური ყუმბარა ხე-ტყის საწყობში ჩავარდა. აფეთქების შედეგად მინები ჩაილეწა ყველა შენობაში მნიშვნელოვან მანძილზე.

ინგლისი უარყოფს

ლონდონი, 22 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის წრეები უარჰყოფენ გერმანიის ბრესლავლის რადიოსადგურის ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანიის ავიაცია ინგლისზე თავდასხმას მხოლოდ-მხოლოდ დღისით ახდენდა. ინგლისის წრეები აღნიშნავენ, რომ „ნამდვილად დღემდე არ ყოფილა ინგლისზე გერმანიის ავიაციის დღისით თავდასხმის არცერთი შემთხვევა. როგორც ცნობილია, გერმანიის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმა, რომლის დროსაც დიდძალი ყუმბარა გადმოჰყარეს, მოხდა 18 და 19 ივნისს ღამით".

ალჟირისა და ტუნისის პოზიცია

ნიუ-იორკი, 22 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ალჟირის გენერალ - გუბერნატორმა ლებომ ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა მოწოდებით დაიცვას სიმშვიდე. მან კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება შეასრულოს პეტენის მითითებანი საზავო მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე, რომ იგი მზად არის გამოიყენოს მთელი ძალები ქვეყნის დასაცავად.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ალჟირისა და ტუნისის ხელისუფალნი მიიღებენ გერმანიის საზავო პირობებს, თუ ეს პირობები მიღებული იქნება პეტენის მიერ.

საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

რომი, 22 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „ხმელთაშუა ზღვაში ჩვენი ავიაცია და საზღვაო ფლოტი განაგრძობდნენ თავიანთ ოპერაციებს. წყალქვეშა ნავებმა მოწინააღმდეგის 3 გემი ჩასძირეს. ერთი ამ გემთაგანი შეიარაღებული იყო. ბალეარის კუნძულების აღმოსავლეთით ჩვენმა ყუმბარმშენებმა დააზიანეს მოწინააღმდეგის კრეისერი.

დღისა და ღამის განმავლობაში ბიზერტისა და მარსელის ბაზებზე დიდძალი საჰაერო თავდასხმა მოეწყო. ბიზერტში დაზიანებულია ერთი კრეისერი, დააზიანეს არსენალი, საწვავი მასალის საწყობებში ხანძარი გაჩნდა.

მოწინააღმდეგის ავიაციის ტობრუკზე თავდასხმის შედეგად სავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი. საზღვაო - საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი.

აღმოსავლეთ აფრიკაში მრავალი რეიდი მოეწყო პორტ-სუდანის, უარების ბაზებზე და კინის ფორტებსა და აეროდრომებზე. დირედავაზე მოწინააღმდეგის თავდასხმის დროს ჩამოგდებულია ინგლისის ერთი თვითმფრინავი.

მოწინააღმდეგემ თავდასხმა მოაწყო ჩრდილოეთ იტალიასა და სიცილიაზე. ყუმბარები ჩამოჰყარეს ტურინის მახლობლად და ლივორნოში. მსხვერპლი არ არის".

ლონდონი, 22 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს კაიროდან მიღებულ შემდეგს ცნობას: „აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჩვენმა მექანიზებულმა ნაწილებმა მოახდინეს მთელი რიგი უაღრესად წარმატებითი თავდასხმა იტალიის ტერიტორიაზე. ინგლისის ჯარის ნაწილებმა, გადალახეს რა ერიტრეის საზღვარი, აღმოაჩინეს მტრის დიდძალი ჯარი, რომელიც სანგრებში იყო გამაგრებული და რომელსაც დიდძალი კარგად დაცული სატყვიამფრქვევო საგუშაგოები მოეწყო. ინგლისის მებრძოლმა პატრულმა ბრძოლა გაუმართა იტალიის ქვეითი ჯარის ბატალიონს. ამ შეტაკების შედეგად იტალიელები გაიქცნენ. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, აგრეთვე დიდძალი შაშხანა. ინგლისის ჯარის ნაწილებს ცოცხალი ძალა არ დაუკარგავთ".

რეიტერის სააგენტო აგრეთვე გადმოგვცემს კომუნიკეს ავიაციის მოქმედების შესახებ.

„20 ივნისს, — ნათქვამია კომუნიკეში,—ჩვენი ყუმბარმშენები ორჯერ დაესხნენ თავს დირედავას (აბისინია). ყუმბარები მოხვდა რკინიგზის სადგურსა და ახლო მდებარე საწარმოებს. ყუმბარები დავუშინეთ აგრეთვე აეროდრომს. შენიშნულ იქნა ხანძარი. მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებლები ცდილობდნენ გზა გადაეჭრათ ჩვენი ყუმბარმშენებისათვის, მაგრამ ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

იტალიის სამმოტორიანი ყუმბარმშენი იძულებული გახდა დაშვებულიყო ჩვენი პოზიციების ფარგლებში დასავლეთ უდაბნოში. მისი ეკიპაჟი 6 კაცის შემადგენლობით ტყვედ წამოვიყვანეთ.

გუშინწინ, ღამით, ჩვენი ყუმბარმშენი ავიაცია კვლავ დაესხა თავს ლიბიის პუნქტებს ელ-გუბსა და ელ-ადენს. ორივე შემთხვევაში ყუმბარები პირდაპირ მოხვდა დამიზნებულ ობიექტებს. მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ ცნობები მიღებული არ არის. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა".

საქართველოს ბავშვთა შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. სურათზე: საბჭოთა აჭარის ნორჩი მომღერლები დები **კლარა** და **ვენერა სამსონიძეები** ასრულებენ სიმღერას **სტალინზე** (ბათუმის რკინიგზის მე-21 სკოლა).

აკაკი წერეთელი მოსწავლეთა შემოქმედებაში

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა იბრძვის პოეტური ოსტატობისათვის — სწერს საუკეთესო ლექსებს, გულთბილად უმღერის სამამულო ცხოვრებას, დიად სტალინურ კონსტიტუციას, აყვავებული სოციალიზმის სამშობლოს, უმღერის კაცობრიობის უკვდავ გენიოსებს—ლენინსა და სტალინს.

ფრიად საყურადღებოა თიანეთის პედსასწავლებლის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „ჩვენი თაობა".

პედსასწავლებლის ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ სპეციალური ნომერი კედლის გაზეთისა და ჟურნალისა უძღვნა საქართველოს საყვარელი პოეტის აკაკის გარდაცვალებიდან 25 წლისთავს. უფრო ენერგიულად ემზადებიან დაბადებიდან 100 წლის იუბილეს ჩასატარებლად.

განსაკუთრებით გამოირჩევა ფრიადოსანი მოსწავლის ნიკოლოზ მგელიაშვილის ლექსები.

აკაკი წერეთელი ემსახურებოდა ქართველ ხალხს. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იგი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უდიდესი მედროშეა. კვნესოდა მისი ქნარიც, მოუწოდებდა გმირებს ქართველი ხალხის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ნ. მგელიაშვილი სწერს:

„გულს გიშფოთებდა ეს მხარე
ქვეყანა მტრისგან ვერანი,
იყო მის ბეჩზე მკვნესარე
შენი სიმების ჩლერანი".

ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელი, პოეტი, სამშობლოს ბედნიერებისათვის თავგანწირული მომღერალი მოუწოდებდა გმირებს დატყვევებული ნესტან-დარეჯანის—საქართველოს ქაჯეთის ციხიდან განთავისუფლებისაკენ. მათ იხსნეს სამშობლო და ახლა კომუნიზმს გმირულად აშენებენ:

„უკვე დალეწეს ბორკილი,
წყვდიადი გაუბნევიათ,
ლრუბელთა ფრთით შემკობილი
მზე ჩვენთვის დაუფრქვევიათ".

მეორე მოწაფე ილია გორელაშვილი თავის ლექსში „აკაკის" გადმოგვცემს მეფის დროს გაპარტახებული საქართველოს სურათებს და სწერს:

„ტკბილი ბუნებით გამთბარი
მთებიდან ვაჟას ფშაური,
ბარიდან აკაკის ჩანგის
გულმომხიბლავი ხმაური;
მათ შორის გმირად ნაზარდი
დგებოდა ფოლადაური".

ასე ჰყავს წარმოდგენილი დიდი მგოსანი პედსასწავლებლის პირველი კურსის მოსწავლე მიხეილ წიკლაურს:

„შენ ხნით იყავი მოხუცი,
გულით მედგარი, გმირია
ეგ შენი ტკბილი სიტყვები
მარგალიტებად თლილია".

ახალგაზრდა მოწაფე ლიზიკო სისაური თავის წერილში „ქართული პოეზიის მწვერვალი" მოკლედ იძლევა დიდი პოეტის მდიდარი და უშრეტი პოეზიის ანალიზს.

მაგალითების მოყვანა ამ ჟურნალიდან კიდევ შეიძლება. იზრდებიან პოეზიის მოყვარული ლიტერატურული ახალგაზრდები, რომელთა მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობისა და დახმარების საჭიროებაზე მიგვითითებდა დიდი პოეტი აკაკი წერეთელი.

ი. ბეჟანიშვილი.

დაიწყო ქუთაისის თეატრის საიუბილეო დეკადა

(„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

1 ივლისს ჩვენი საზოგადოებრიობა აღნიშნავს საქართველოს უძველესი თეატრის —ქუთაისის თეატრის 60 წლისთავს.

21 ივნისს ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა უკვე დაიწყო საიუბილეო დეკადა, რასაც ქალაქის მშრომელნი დიდი ინტერესით შეხვდნენ. დეკადის პირველ დღეს თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა უ. შექსპირის „ოტელო". სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. იმედაშვილი (ოტელო), რესპ. დამსახ. არტისტი ი. ზარდალიშვილი (იაგო), თ. ღვინიაშვილი, ც. ამირეჯიბი და სხვ. დარბაზმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა შემსრულებელნი . ამ საღამომ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ „ოტელო" ქუთაისის თეატრის საუკეთესო სპექტაკლია.

23 ივნისს თეატრი უჩვენებს თავის ახალს, მიმდინარე სეზონის უკანასკნელ პრემიერას — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს". თეატრის მიერ უკვე განხორციელებული საუკეთესო დადგმებიდან დეკადის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება აგრეთვე დიდი მგოსნის აკ. წერეთლის „პატარა კახი", ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე" და სხვ.

გ. ყურაშვილი

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

მშრომელთა დეპუტატების ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს მესამე სესია გაიხსნება ა. წ. 25 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ლენინის სახელობის რაისაბჭოს სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ., № 134).

ლენინის რაისაბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი სადეპუტატო მანდატებით.

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ა. წ. 24 ივნისს, დღის 3 საათზე, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ჯორჯიაშვილის ქ. № 8) გაიხსნება

აკაკი წერეთლის

დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი.

რესპუბლიკური საიუბილეო გამოფენა

გამოფენას გახსნის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი, ორდენოსანი პოეტი **გიორგი ლეონიძე.**

აკაკის თხზულებათა — III

მესამე ტომი

აკაკის შვიდტომიანი აკადემიური გამოცემიდან წელს სახელგამმა უნდა გამოუშვას პირველი სამი ტომი. პირველი ტომი—ლექსები უკვე გამოვიდა. მეორე ტომიც, რომელიც შეიცავს ლექსებს, წელს გამოვა. დაიბეჭდა და გამოვიდა მესამე ტომი, რომლის რედაქტორია **ი. გრიშაშვილი.** ამ ტომში მოთავსებულია აკაკის ყველა პოემა, შევსებული და შესწორებული საცენზურო კომიტეტში აღმოჩენილი ხელნაწერების მიხედვით. პირველად ქვეყნდება აკაკის პოემა „ომი", დაწერილი პოეტის მიერ სიკვდილის წინ და „პატარა კახის" პროზაული ვარიანტი „ირაკლი ბატონიშვილი".

მესამე ტომს დართული აქვს **ი. გრიშაშვილის** მიერ შედგენილი ვრცელი კომენტარიები და ბიბლიოგრაფია.

„აკაკი წერეთელი"

უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული

დაიბეჭდა და გამოვიდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული „აკაკი წერეთელი", რომელიც მიეძღვნა პოეტის იუბილეს. კრებულში შევიდა: უნივერსიტეტის რექტორის დ. ყიფშიძის შესავალი სტატია, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო პოეტის გ. ტაბიძის ლექსი და 20 სტატია, რომლებიც აშუქებენ დიდი ქართველი პოეტის მოღვაწეობას, მათ შორის მ. ზანდუკელის, ს. ჭილაიას, ლ. მელიქსეტ-ბეგის, შ. რადიანის, ს. ხუციშვილის, ა. ნიკოლაძისა და სხვ. სტატიები.

კრებულში, რომელსაც დართული აქვს ა. წერეთლის პორტრეტი, მოყვანილია ი. გრიშაშვილის, ექიმ ჭოლოშვილის, ი. ელიაშვილის და ფ. გოკიელის საინტერესო მოგონებანი პოეტის შესახებ.

კრებულის რედაქცია ეკუთვნის ამხ. დ. ყიფშიძეს.

საქდესის გასწორება

„კომუნისტის" 2 ივნისის ნომერში მოთავსებულ საკდესის კორესპონდენციის— „ათიათასფუთოსან მყელავ მემანქანეთა წარმატება" — სათაურში და ტექსტში ნაცვლად სიტყვისა „ათიათასფუთოსანი" უნდა იკითხებოდეს „ათიათასტონოსანი".

„კომუნისტის" 17 ივნისის ნომერში მე-2 გვერდზე დაბეჭდილ ჰიტლერის ინტერვიუში ამერიკელ პუბლიცისტ ვიგანდთან— მესამე სვეტის მეორე აბზაცში ნაცვლად უკანასკნელი სიტყვებისა — „გეოგრაფიულ ცნობებს" უნდა იყოს — „გეოგრაფიულ ცნებებს".

„კომუნისტის" 21 ივნისის ნომერში დაბეჭდილ სიაში დეპუტატებისა, რომელნიც კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში — მე-5 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ბორის ევგენის-ძე ვედენევი"; მე-4 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „ტუურე ივანეს-ძე ლეხენი".

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მარჯანიშვილის სახელობის — „ბედნიერება", **მოზარდ მაყურებელთა** — „პატარა კახი", **გრიბოედოვის სახელობის** — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება", **სახსახესტრადის საზაფხულო თეატრი** — მოსკოვის დრამის ანსამბლის გასტროლები რესპ. სახ. არტისტ ვაჰრამ ფაფაზიანის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით „**პროვინციული ისტორია**", **ღია ესტრადა** — საღამო-კონცერტი, **სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ესტრადაზე კონცერტი სანდრო ინაშვილის, სალარაძე-ჯაფარიძის, ო. დოლიძის, ძაგნიძე-ჩხიკვაძის, ვრუბლევსკაიას, მინდიაშვილის და სხვ. მონაწილეობით.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „იმაური ქალაქი", **ოქტომბერი** — „უმიშარნი", **დამკვრელი** (ზაფხულის) — „იმაური ქალაქი", **დამკვრელი** (ზამთრის) — „იმაური ქალაქი", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „კონცერტი ეკრანზე", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მშვენიერი ვასილისა", **ლუქსემბურგის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **სპარტაკი** — „მე-17 წელი", **კომინტერნი** — „აზამატ", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „დაგვიანებული სასიძო", **26 კომ. სახ.** (ზამთრის)— „დაგვიანებული სასიძო", **ორჯონიკიძის სახ.** — „გამანადგურებლები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

24 ივნისი | ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი | 24 ივნისი
სეირნობა, მიძღვნილი დიდი პოეტის **აკაკი წერეთლის**
დაბადების 100 წლისთავისადმი

პარკში — მომღერალთა და მოცეკვავეთა ხალხური გუნდები, ხალხური მომღერალი **ილიკო ქურხული,** სტვირი, ფანდური, დუდუკი, საზანდარი.

საღამო-კონცერტი მიძღვნილი **აკაკი წერეთლის** შემოქმედებისადმი. მონაწილეობენ სახელმწიფო თეატრების, სახელმწიფო ფილარმონიის და რადიოკომიტეტის მსახიობები.

კინოთეატრში პროგრამის გარეშე კინო-ნარკვევი **აკაკი წერეთელი**
სამკითხველოში ფოტო-გამოფენა „აკაკი წერეთელი"

დღის 12 საათიდან **საბავშვო დილა**
მუსიკის ორკესტრები. საბავშვო რკინიგზა. მასობრივი თამაშობანი და ცეკვა. კარუსელი.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულორის პლატო)
სადღესასწაულო სეირნობა

24 ივნისს ესტრადაზე კონცერტი მონაწ. **სანდრო ინაშვილი,** სალარაძე-ჯაფარიძე, ო. დოლიძე, ძაგნიძე-ჩხიკვაძე, ლ. ვრუბლევსკაია, ლ. მინდიაშვილი და სხვები. კონფერანსიე ვახო ურუშაძე.

საცეკვაო მოედანზე საერთო ცეკვები. დაუკრავს ჯაზი.

24 ივნისს საბავშვო სეირნობა, მიძღვნილი სასწავლო წლის დამთავრებისადმი. დილის 11-დან დღის 1 ს. **ქართულ თოჯინების თეატრის წარმოდგენა „მოგზაურობა უცხო ქვეყნებში"** დასწრება თავისუფალია.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.
26—27 ივნისს პრემიერა
ა. სამსონია და დ. ანთაძე
ანრი სეარ
დრამა 3 მოქმ. 9 სურათად
დადგმა ბ. გამრეკელისა (რესპ. დამს. არტ.), მხატვარი ო. შტენბერგი,
მუსიკა ო. ბარამიშვილისა.
წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. 30 წ.

სახსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი,
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
გასტროლები მოსკოვის დრამის ანსამბლისა სახ. არტისტის
ვაჰრამ ფაფაზიანის
ხელმძღვ. და მონაწილეობით.
24 და 25 ივნისს
პროვინციული ისტორია
კომ. 4 მოქმ.
დასაწყისი სრულ 9 საათზე.

დახურული თეატრი
26—27—28 ივნისს
გიორგი გიორგის-ძე
დუქლაუს
გასტროლები
დასაწყისი საღ. 9 საათ. 30 წ.
დაწვრილებით აფიშებში.

ღია ესტრადა 24 ივნისს მხოლოდ ერთი საღამო ლენინგრადის ბოშური **სიმღერების და ცეკვების** სახ. ანსამბლისა **შეველევას** ხელმძღვანელობით და 30 არტისტის შემადგენლობით. დასაწყისი 10 საათზე ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით. **ბაღში დაუკრავს სასულე ორკესტრი გახმანის** ხელმძღვან. **ბაღში იყიდება ლუდი.**

რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზში 26 და 27 ივნისს
ვადიმ კოზინის გასტროლები. დაწვრილებით აფიშებში.

ბილეთები იყიდება ყველა კონცერტზე. სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე, საღ. 6-დან 10 საათამდე.

თბილისის ტექაღრიცხვის (ინვენტარიზაციის) ჩატარებისათვის გვესაჭიროება
აღმშენებლები—ინჟინრები და ტექნიკოსები,
მიმართეთ თბილისის აღმასკომის შენობაში, ბერიას მოედანი № 2, მეორე სართული, ოთახი № 17—18, ტელეფონი № 3-40-02.

თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში
1940-41 სასწ. წელს მიღების პირობები

მიღება იწარმოებს შემდეგს ფაკულტეტებზე: ა. ენისა და ლიტერატურის, ბ. ისტორიის, გ. საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის, დ. ფიზიკა-მათემატიკის.

განცხადების მიღება სწარმოებს 20 ივნისიდან 31 ივლისამდე. შემსვლელს განცხადება შემოაქვს ინსტიტუტის დირექტორის სახელზედ, (ქ. თელავი, გვირაბის ქ № 1, სამასწავლებლო ინსტიტუტი), არსებული ფორმის მიხედვით, შემდეგი საბუთების დართვით: ა. ავტობიოგრაფია, ბ. საშუალო სასწავლებლის ატესტატი (დედანი), გ. პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), დ. სამი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ. საკუთარი ხელისმოწერით თვითეულზე. ე. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ.

შენიშვნა: სხვა უმაღლეს სასწავლებლიდან გადმოსვლა 1 კურსზე არ დაიშვება.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20-დან 25 აგვისტომდე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრკ ორივე სქესის მოქალაქენი 17—35 წლამდე, რომელთაც საშუალო განათლება (სრ. საშუალო სკოლა, ტექნიკუმი, მოზრდილთა საშ. სკოლა, მუშფაკი) აქვთ მიღებული.

შენიშვნა: ტექნიკუმის კურსდამთავრებულები გამოცდებზე დაიშვებიან სამი წლის საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ, გარდა იმ ფრიადოსნებისა, რომლებიც მოხვდნენ ტექნიკუმის 5 %-ში. ასეთები კი ინსტიტუტში უგამოცდოდ მიიღებიან.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს: ა. ქართულ ენაში (ზეპირი და წერითი) ბ. რუსულ ენაში (ზეპირი და წერითი), გ. სსრკ ისტორია და კონსტიტუცია (ზეპირი), დ. მათემატიკა: ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია (წერა და ზეპირი), ე. ფიზიკა (ზეპირი), ვ. ქიმია (ზეპირი), ზ. ერთ-ერთი უცხო ენა (გერმანული, ფრანგული და ინგლისური), თ. გეოგრაფიაში (ლიტერატურის, ისტორიის და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკ. შემსვლელთათვის).

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

უგამოცდოდ მიიღებიან: ა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, ბ. ექსტერნატის წესით საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, გ. 1940 წ. ტექნიკუმდამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც მოხვდნენ ტექნიკუმის 5 %-ში, დ. 1940 წ. მუშფაკდამთავრებული ფრიადოსნები.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთა საექიმო შემოწმება იწარმოებს ივლისის 20-დან 29-დე

მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე დაიწყება 1 სექტემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტში ყოველ დღე 2—3 საათამდის.

200 **ინსტიტუტის დირექტორი: დოც. დ. შაფაქიძე.**

სახსახესტრადასთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო პროფესიულ ანსამბლში შესასვლელად მსურველთა გასინჯვა სწარმოებს
25 და 27 ივნისს დღის 1 საათიდან, 26 და 28 ივნისს საღამოს 6 საათიდან სახესტრადის საზამთრო თეატრის შენობაში.
პლეხანოვის პროსპექტი, 123.
ანსამბლში მიიღებიან ამხანაგები როგორც თბილისიდან, ისე რაიონებიდან.
100 **დირექცია.**

ჯ. ს. ქ. თბილისის მე-4 სამედიცინო დების სკოლა აცხადებს მიღებას 1940-1941 სასწ. წლისათვის

სკოლა ამზადებს საშუალო სამედიცინო დარგის სპეციალისტებს.

სწავლა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე.

სკოლაში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 15-დან 35 წლამდე ასაკით.

განცხადებების მიღება სწარმოებს 20 ივნისიდან 20 აგვისტომდე.

21 აგვისტოდან 28 აგვისტომდე იწარმოებს მისაღები გამოცდები შვიდწლედის კურსის მოცულობით შემდეგს საგნებში: 1. დედაენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. რუსული ენა (წერა და ზეპირი). 3. პოლიტცოდნა (ზეპირი), 4. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 5. ფიზიკა (ზეპირი).

ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ.

მსურველებმა განცხადებები უნდა გამოგზავნონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით:

1. ავტობიოგრაფია ორი შემოწმებული ფოტოსურათით;
2. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა;
3. წლოვანობის;
4. ჯანმრთელობის.

ჩარიცხულთ მიეცემათ საერთო საცხოვრებელი და სტიპენდია.

მისამართი: თბილისი, საბჭოს ქ. № 17—77 სკოლის შენობაში.

სკოლის დირექცია.

ნინო და ვალიკო სარჯველაძეები შვილით ოქტიაბრინათი იუწყებიან სიძის
სერაპიონ ათანასეს-ძე გიორგაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VI 5 ს. ტრამვაის, 5. 6887

ცოლისდა, შუშანა შვილებით ჯულიეთი და მაყვალათი იუწყებიან
სერაპიონ ათანასეს-ძე გიორგაძის
გარდაცვალებას. 6878

დედა ეფროსიმე, და ბაბო მწუხარებით იუწყებიან დაივიწყარი შვილისა და ძმის
ანდრო სამსონის-ძე საყვარელიძის
გარდაცვალებას.

ნიკუშა ბახტაძე ოჯახით იუწყება აღმზრდელი
ძიძას
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VI 6 ს. ბატარეის, 9 (სადგურთან) დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6888

თავართქილაძე, ნანეიშვილი, აზაურაშვილი, ქაჯაია, ბაბუნაშვილი, ჩაჩიბაია, ებრალიძე, ელიავა, დემურია, ჯორჯაძე, გვეტაძე, ლოლუა, აბაშიძე იუწყებიან გოგი ვარდოსანიძის შვილის
პატარა თამრიკოს
გარდაცვალებას. 6886

მეუღლე ნატაშა, შვილები მარგო, გედი, ოთარ იუწყებიან
სერაპიონ ათანასეს-ძე გიორგაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/VI 8 ს. ტრამვაის, 5. დაკრძალვა 25/VI 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 6877

ექიმები ლუბა და მარიამ პეტრესასული სანაძეები იუწყებიან გოგი ვარდოსანიძის შვილის
პატარა თამუნიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VI 5 ს. რუსთაველის, 41. 6879

მეუღლე გერასიმე, შვილი სერგო, სიდედრი მარინე დონდოლაძეები, ნინო შაფაქიძე შვილებით იუწყებიან
ელენე დონდოლაძე-მაზმიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 26/VI 5 ს. ორჯონიკიძის ჩიხი, 6. პანაშვიდი 24, 25/VI 8 ს. 6880

გოგოლის ქ. № 48 სახლის მცხოვრებნი იუწყებიან
თამარ ვალერიანის-ასულ ბუხნიკაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/VI 5 ს. 6882

მეუღლე თენგიზ, ძმები ვიქტორ, მოსე, და თეკლე, რძლები ვალია, ქეთო, ლეო დოლიძეები იუწყებიან
ბაბილინე მიხეილის-ასულ დოლიძე-სიამაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VI ქ. მახარაძეში. 6883

მშობლები სერგო, ნინო, და მანანა, ბაბუა სანდრო, ბებია კატო, ბიძები ლევან, გიორგი, ბიძინა, ბიცოლა მატრონა, მამიდა ვერა იუწყებიან
გივი სერგოს-ძე ყიფიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VI 5 ს. ბაღდადის, 3. 6884

იოსებ, ამალია ფანცულაიები, პლატონ, ქრისტინე ჭანტურიები, გიორგი, ლიდა სოლომონიები, პორფილე, თამარ მანიავები შვილებით იუწყებიან ეორჯი უჩანეიშვილის ძმის
დიომიდეს
გარდაცვალებას. 6885

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84. სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება ჯანმრთელობის 3—80—83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84. წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—1 65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1450